

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ელგუჯა მუხანიშვილი

მონაცემების სტატისტიკური  
დამუშავება  
**STATISTICA** სისტემის ბაზაზე

პრაქტიკული

თბილისი 2015


## პრაქტიკული სამუშაო 1

### **STATISTICA 7 სისტემაში მონაცემებთან მუშაობის მოკლე მიმოხილვა**

მონაცემები **Statistica7**-ში ორგანიზებულია ელექტრონული ცხრილების სახით. ცხრილები ინახებიან \*.sta გაფართოების ფაილების სახით. ცხრილის სვეტები წარმოადგენენ ცვლადებს (**Variables**), ხოლო სტრიქონები – დაკვირვებებს, შემთხვევებს (**Cases**). ყოველ ცვლადს გაჩნია სახელი, ფორმატი და სხვა ატრიბუტები. გაჩუმების პრინციპით ცვლადებს გაჩნიათ სახელები *Var1, Var2,...*

#### 1. ახალი მონაცემების ფაილის შექმნა.

გაგხსნათ მენიუ **File + New** ან ინსტრუმენტების პანელზე **click** (მარცხენა ღილაკზე დაწკაპუნება) **New (Ctrl+N)** ღილაკზე.



ეკრანზე გამოდის **Create New Document** ფანჯარა, სადაც **Number of variables:** ველში მიუთითოდ ცვლადების რაოდენობა, ხოლო **Number of cases** ველში – სტრიქონების რაოდენობა. **Display format** ველში შევარჩიოთ (მოვნიშნოთ) **General**. და შემდეგ **Ok**.

	1 Var1	2 Var2	3 Var3	4 Var4	5 Var5	6 Var6	7 Var7	8 Var8	9 Var9	10 Var10
1										
2										
3										
4										
5										
6										
7										
8										
9										
10										

ეკრანზე გამოდის ცარიელი ფანჯარა *Data Spreadsheet1* (ცხრილი) ფრჩხილებში ცვლადების და დაკვირვების რაოდენობა დასახელებითი. ფაილის სახელის დასარქმევად გავხსნათ მენიუ *File* და მოვნიშოთ *Save* ბრძანება ან ინსტრუმენტების პანელზე *click Save* (ან *Enter*) ღილაკზე, ეკრანზე გამოსულ *Save as* ფანჯრის *File name* ველში ჩავწერთ ახალი სახელი და შემდეგ *click Save* (ან *Enter*) ღილაკზე.

ცვლადების სახელების დასარქმევად ორჯერ *click* ცვლადის დასახელებაზე, ეკრანზე გამოსულ *Variable* ფანჯრის *Name* ველში შევიტანოთ ცვლადის ახალი დასახელება და შემდეგ *OK*. ეს პროცედურა გაიმეოროდ ყველა ცვლადისთვის. დაკვირვებების სახელების შესატანად ცხრილის ზედა მარცხენა არეში ორჯერ *click*, განხდება კურსორი და უკვე შეგვიძლია შევიტანოთ დასახელება (მაგ: პაციენტები, ქალაქები და სხვა). ცალკეული დაკვირვებების სახელების შესატანად ორჯერ *click* დაკვირვების ნომერზე და შემდეგ შევიტანოთ დასახელება. ფაილის დამატებით ინფორმაციის შესატანად (მაგ: გულით დაგადებული პაციენტების მაჩვენებლები) ცვლადების ზემოდ არსებული ცარიელ ველში ორჯერ *click* და შემდეგ შევიტანოთ ინფორმაცია.


ცხრილის უჯრედებში მონაცემები შეგვყავს ჩვეულებრივ, ისევე როგორც *Excel*-ის ელექტრონულ ცხრილებში. უჯრედში ინფორმაციის შესამოწმებლად *click* და შევიყვანოთ ახალი მნიშვნელობა. თუ გვინდა, რომ უჯრედში ჩაწერილი ინფორმაცია არ წაიშალოს, მაშინ ორჯერ *click*, ამ დროს დაყენდება რედაქტირების რეჟიმი, კურსორი აღმოჩნდება უჯრედის შიგნით და უკვე შესაძლებელი იქნება შესწორებების შეტანა.

არსებული მონაცემების ფაილის გახსნა. *Statistica 7* გაშვებისას მას ავტომატურად გამოაქვს მონაცემების ის ცხრილი, რომელთანაც იგი ბოლო დროს მუშაობდა. აქვე გამოდის *Welcome to STATISTICA* ფანჯარა, სადაც *Most recently used files* ველის გაშლად სიაში წარმოდგენილია ადრე გამოყენებული ფაილები. ამ ფაილების ხელახლა გამოყენება შესაძლებელია თუ მის დასახელებაზე *click* და შემდეგ *OK*. გარდა ამისა, თუ ჩართულია *Open STATISTICA Data File* ოპცია, მაშინ *click OK*. ეკრანზე გამოდის *Datasets* ბიბლიოთეკის ფაილები.

## 2. ძირითადი ოპერაციები ცვლადებზე და დაკვირვებებზე


ცვლადებზე მოქმედებების ჩასატარებლად გამოიყენება **Data** მენიუ (**Data+Variables**) ან **click** ინსტრუმენტების პანელზე არსებული **Vars** ღილაკზე ან ცვლადის დასახელებაზე **click [R]** (მარჯვენა ღილაკზე დაწკაპუნება) და კონტექსტურ მენიუში შევარჩიოთ სასურველი ბრძანება.

**Add Variables** ახალი ცვლადის (ანუ ცარიელი სვეტის) დამატება იწვევს ცხრილის ზომის გაზრდას. ეკრანზე გამოდის **Add Variables** ფანჯარა, სადაც



- **How many:** (რამდენი) ველში უნდა მიუთითოდ დასამატებელი ცვლადების რაოდენობა (ეს რაოდენობა ცხრილისთვის არ არის შეზღუდული):
  - **After** (შემდეგ) აქ საჭიროა მიუთითოდ იმ ცვლადის დასახელება, რომლის შემდეგ გვინდა ახალი ცვლადის ან ცვლადების დამატება.
  - **Name** (სახელი) ველში შეგვიძლია ჩავწეროთ დასამატებელი ცვლადის სახელი.

**Move variables** (ცვლადის გადაადგილება)-ის ბრძანებით შეგვიძლია ცხრილში ცვლადის ან ცვლადების გადაადგილება. ეკრანზე გამოსულ **Move Variables** დიალოგურ სარკმელში (ფანჯარაში) **From variable** ველში მიუთითოდ გადასადგილებელი ცვლადის სახელი, ხოლო **Insert after** ველში იმ ცვლადის სახელი, რომლის შემდეგ გვინდა გადავიტანოთ ცვლადი.




თუ გვინდა რამოდენიმე ცვლადის ერთდროულად გადაადგილება, მაშინ **To Variable** ველში მიუთითოდ პირველი გადასაადგილებელი ცვლადის სახელი, ხოლო **Insert after** ველში ბოლო გადასაადგილებელი ცვლადის სახელი.

**Copy variables** (ცვლადის კოპირება) გამოიყენება ცვლადის მნიშვნელობის კოპირებისთვის. ეკრანზე გამოდის **Copy Variables** ფანჯარა სადაც **From variable** ველში მიუთითებთ ცვლადის დასახელებას, ხოლო **Insert after** ველში იმ ცვლადის დასახელებას, რომლის შემდეგ გვინდა კოპირებული ცვლადის განთავსება. აქაც ერთდროულად შესაძლოა რამოდენიმე ცვლადის კოპირება.

**Delete variables** (ცვლადის წაშლა) ბრძანებით ხდება ცვლადის (ცვლადების) ცხრილიდან წაშლა. ეკრანზე გამოსულ **Delete Variables** ფანჯარის **From variables** ველში მოვნიშნოდ წასაშლელი ცვლადის (სვეტი) დასახელება და შემდეგ **OK**. რამოდენიმე ცვლადის წასაშლელად **To variable** ველში ჩავწერთ ბოლო წასაშლელი ცვლადის დასახელება.

ცვლადის მონაცემების წასაშლელად შევარჩიოთ **Clear** ან **Cut** ბრძანება.

**Rank** (რანგი) საშუალებით შესაძლებელია ცვლადის (ცხრილის სვეტში არსებული მონაცემები) მინიშვნელობებს მიენიჭოთ რანგული მნიშვნელობები. **Rank** ბრძანების შერჩევის შემდეგ ეკრანზე გამოდის **Rank Order Values** ფანჯარა,



სადაც განლაგებულია შემდეგი ღილაკები:


- **Variables** (ცვლადები), რომლის საშუალებითაც მონიშნება ცვლადი ან ცვლადები;

- **Sases** (დაკვირვება) გამოიყენება იმ დაკვირვებათა შესარჩევად, რომელთა რანჟირებაა საჭირო;
- **Weight** (წონის მინიჭება).

განვიხილოთ ფანჯარაში არსებული ოპერაციები.

- **Assign rank 1 to** (მივანიჭოთ რანგი 1). მნიშვნელობების რანჟირება შესაძლებელია ზრდადობით **Smallest value** (უმცირესი მნიშვნელობა) ოპციის ჩართვით დაწყებული 1-დან, ან კლებადობით **Largest value** (უდიდესი მნიშვნელობა) ოპციის ჩათვლით დაწყებული 1-დან;
- **Rank for ties** (ერთნაირი (თანხედომი) რანგები). **Mean** (საშუალო) ოპციის ჩართვით ერთნაირ რანგებს მიენიჭებათ ამ რანგების საშუალო მნიშვნელობა. **Sequential** (თანმიმდევრული) ოპერაციით ხდება ყოველი თანხედომი მნიშვნელობების სვეტში გამოჩენისთანავე მათი თანმიმდევრული რანჟირება;
- **Low** (ქვედა) და **High** (ზედა) ოპციებით ყოველი თანხედომი მნიშვნელობას მიენიჭება შესაბამისად ყველაზე მცირე ან ყველაზე დიდი რანგი თანხედომი მნიშვნელობების რანგებიდან;
- **Type of ranks** (რანგების ტიპი), **Regular** (ჩვეულებრივი) ოპციის საშუალებით რანჟირების დიაპაზონია 1-დან  $n$ -მდე ( $n$ -დაკვირვებათა რაოდენობა). **Fractional** (წილადი) ოპციის რანჟირების დიაპაზონია 0-დან 1-მდე. **Ractional as%** (წილადი %-ში) ოპციაში რანგები წარმოადგენენ % მნიშვნელობებს.

**Standardize** (სტანდარტიზაცია) ბრძანების შერჩევის შემდეგ ეკრანზე გამოდის **Standardize of Values** ფანჯარა.




ცვლადის ან ცვლადების მოსანიშნათ *click Variables* ღილაკზე და შემდეგ *OK*. ვბრუნდებით **Standardize of Values** ფანჯარაში და კვლავ *OK*. ცხრილში ჩაიწერება სტანდარტიზირებული ნიშნელობები.

დაკვირვებებზე ძირითადი ოპერაციების ჩასატარებლად უნდა გამოვიყენოთ **Data** მენიუ (**Data+Cases**) ან ინსტრუმენტების პანელზე არსებული **Vars** ღილაკზე *click* ან დაკვირვების დასახელებაზე *click [R]* და კონტექსტურ მენიუში შევარჩიოთ სასურველი ბრძანება. **Add Cases, Move Cases,**

**Delete Cases, Copy Cases** ბრძანებების გამოყენების პროცედურები იგივეა, რაც ცვლადების დროს.

**Sort cases** (დაკვირვებების დახარისხება) ბრძანებით ეკრანზე გამოდის **Sort Options** ფანჯარა



სადაც **Variables** ჩამონათვალში მოვნიშნოთ ცვლადი (ცვლადები). **click Add var(s) >** ღლაკზე, **Direction** ჩარჩოში ჩავრთოდ **Ascending** (ზრდადობით) ან **Descending** (კლებადობით) ოპცია და შემდეგ **OK**.

**ფაილის იმპორტი.** შესაძლებელია სამი მეთოდით.

- ბუფერის საშუალებით;
- მონაცემების დინამიური გაცვლის ტექნოლოგიით;
- ფაილების იმპორტირება სპეციალური საშუალებით.


ამ სამიდან ყველაზე უფრო სწრაფი და პოპულარული მეთოდია ბუფერის გამოყენების მეთოდი. ამისთვის საწყის მონაცემებში მოვნიშნოთ ფაილი და მოვახდინოთ მისი კოპირება ჩვეულებრივი მეთოდით. კოპირების შემდეგ გავხსნათ ახალი ფაილი **Statistica** სისტემაში და მოვახდინოთ კოპირებული ფაილის ჩასმა. ამ დროს მონაცემები ელექტრული ცხრილში განლაგდებიან მონიშნული უჯრიდან მარჯვნივ და ქვემოთ.

### 3. განაწილების კანონის შერჩევა / შემოწმება

მონაცემების დამუშავებისას ხშირად საჭიროა ემპირიული განაწილების ფუნქციის აპროქსიმაცია ამა თუ იმ ცნობილი განაწილების კანონით. ამისათვის **Statistica** პაკეტში გათვალისწინებულია **Distribution Fitting** (განაწილების მორგება) მოდული. ამ მოდულის გასაცნობად განვიხილოთ **Examples** ბიბლიოთეკიდან **Turtles.sta** ფაილი.


	1	2	3	4	5	6	7
	LENGTH	WIDTH	HEIGHT	LOG LEN	LOG WID	LOG HGHT	GENDER
1	98	81	38	4,5849675	4,3944492	3,6375862	1
2	103	84	38	4,6347290	4,4308168	3,6375862	1
3	103	86	42	4,6347290	4,4543473	3,7376696	1
4	105	86	42	4,6539604	4,4543473	3,7376696	1
5	109	88	44	4,6913479	4,4773368	3,7841896	1
6	123	92	50	4,8121844	4,5217886	3,9120230	1
7	123	95	46	4,8121844	4,5538769	3,8286414	1
8	133	99	51	4,8903491	4,5951199	3,9318256	1
9	133	102	51	4,8903491	4,6249728	3,9318256	1
10	133	102	51	4,8903491	4,6249728	3,9318256	1
11	134	100	48	4,8978398	4,6051702	3,8712010	1
12	136	102	49	4,9126549	4,6249728	3,8918203	1
13	138	98	51	4,9272537	4,5849675	3,9318256	1
14	138	99	51	4,9272537	4,5951199	3,9318256	1
15	141	105	53	4,9487599	4,6539604	3,9702919	1
16	147	108	57	4,9904326	4,6821312	4,0430513	1
17	149	107	55	5,0039463	4,6728288	4,0073332	1
18	153	107	56	5,0304379	4,6728288	4,0253517	1
19	155	115	63	5,0434251	4,7449321	4,1431347	1
20	155	117	60	5,0434251	4,7621739	4,0943446	1

გაგხსნათ მენიუ *Statisties* და შევარჩიოთ *Distribution Fiting*. ეკრანზე გამოსულ ამავე დასახელების ფანჯარაში უნდა მიუთითოდ შემთხვევითი სიდიდის ბუნება, ანუ ჩაეროთ *Continuous Distributions* (უწყვეტი განაწილება) ან *Discret Distrubutions* (დისკრეტული განაწილება) ოპცია. შემდეგ უნდა მოვნიშნოთ მოსალოდენელი განაწილების კანონი.



უწყვეტი შემთხვევითი სიდიდებისთვის წარმოდგენილია 6 განაწილების კანონი, ხოლო დისკრეტული შემთხვევითი სიდიდისთვის – ოთხი. შევარჩიოთ რომელიმე მათგანი მაგ:ლითად, ნორმალური და *OK*. გახსნილ *Fiting Continuous Distributions* ფანჯარაში ფაილის მოსანიშნად *click Variable* ღილაკზე და შემდეგ *OK*.






ვბრუნებით უკან ფანჯარაში, სადაც **Quick** ჩანართში წარმოდგენილია ორი ღილაკი. **Summary: Observed and expected distribution** (შედეგი: მონაცემები და მოსალოდნელი განაწილება) და **Plot of Observed and expected distribution** (მონაცემები და მოსალოდნელი განაწილების გრაფიკები).

პირველ ღილაკზე დაწკაპუნებით პროგრამას ეკრანზე გამოაქვს რიცხვითი მნიშვნელობის ცხრილი.

Upper Boundary	Observed Frequency	Cumulative Observed	Percent Observed	Cumul. % Observed	Expected Frequency	Cumulative Expected	Percent Expected	Cumul. % Expected	Observed-Expected
<= 70.00000	0	0	0,00000	0,0000	1,074578	1,07458	2,23870	2,2387	-1,07458
75.00000	1	1	2,08333	2,0833	1,490841	2,56542	3,10592	5,3446	-0,49084
80.00000	2	3	4,16667	6,2500	2,793159	5,35858	5,81908	11,1637	-0,79316
85.00000	8	11	16,66667	22,9167	4,487925	9,84650	9,34984	20,5135	3,51208
90.00000	9	20	18,75000	41,6667	6,184254	16,03076	12,88386	33,3974	2,81575
95.00000	9	29	18,75000	60,4167	7,308450	23,33921	15,22594	48,6233	1,69155
100.00000	5	34	10,41667	70,8333	7,407328	30,74653	15,43193	64,0553	-2,40733
105.00000	4	38	8,33333	79,1667	6,438676	37,18521	13,41391	77,4692	-2,43868
110.00000	4	42	8,33333	87,5000	4,799856	41,98507	9,99970	87,4689	-0,79986
115.00000	2	44	4,16667	91,6667	3,068687	45,05375	6,39310	93,8620	-1,06869
120.00000	2	46	4,16667	95,8333	1,682534	46,73629	3,50528	97,3673	0,31747
125.00000	1	47	2,08333	97,9167	0,791141	47,52743	1,64821	99,0155	0,20886
130.00000	0	47	0,00000	97,9167	0,319016	47,84644	0,66462	99,6801	-0,31902
135.00000	1	48	2,08333	100,0000	0,110314	47,95676	0,22982	99,9099	0,88969
< Infinity	0	48	0,00000	100,0000	0,043243	48,00000	0,09009	100,0000	-0,04324

ცხრილის ყოველი სტრიქონი ახასიათებს ინტერვალს, სადაც მოხვდებიან შესარჩევი ცვლადის მნიშვნელობები. პირველ სვეტში **Observed Frequency** (დაკვირვების სიხშირე) ნაჩვენებია ინტერვალის სიხშირე. მეორე სვეტში **Cuma lative observed** (დაგროვილი სიხშირეები), მესამე და მეოთხე სვეტებში ნაჩვენებია **Percent observed** (დაკვირვების პროცენტი) და **Cumul %** (ჯამური პროცენტი). მეხუთე სვეტში **Frequency Expected** (მოსალოდნელი სიხშირეები) წარმოდგენილია თეორიული სიხშირეების მნიშვნელობები.

მეორე ღილაკზე დაწკაპუნებით ეკრანზე გამოდის თეორიული მნიშვნელობის კანონის მრუდი და ჰისტოგრამა.




ჰისტოგრამის ზედა ნაწილში განთავსებულია ცვლადის დასახელება და მოსალოდნელი განაწილების კანონი. მეორე სტრიქონში პირველ პარამეტრს წარმოადგენს პირსონის  $\chi^2$  თანხმობის კრიტერიუმის მნიშვნელობა, მეორეს – თავისუფლების ხარისხი  $df$  და მესამეს –  $p$  - მნიშვნელობა. თუ  $p > 0.05$ , მაშინ ნულოვანი ჰიპოთეზა მიღებულია, ე.ი. მონაცემები განაწილებულია აღნიშნული კანონით.

დავბრუნდეთ *Fitting Continuous Distributions* ფანჯარაში *click Parameters* ჩანართზე. ეკრანზე გამოდის მოსალოდნელი განაწილების კანონის პარამეტრები, კერძოდ:

- **Set to default** - მონაცემები დავაყენოთ გაჩუმების პრინციპით.

აქ მოყვანილი პარამეტრებიდან სამი წარმოადგენს ძირითადს, რომელზეც დამახასიათებელია ყველა განაწილებლის კანონისთვის, ხოლო დანარჩენი დამახასიათებელი არიან შერჩეული განაწილების კანონისთვის.

- **Number of categories** (კატეგორიების რიცხვი) - ეს არის ამონარჩევის ინტერვალებად დაყოფის რაოდენობა;
- **Lower Limit, Uper Limit** (ქვედა და ზედა მნიშვნელობები). განუმეების პრინციპით აიღება ამონარჩევის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები;
- **Mean and Variance** (საშუალო და დისპერსია) - მხოლოდ ნორმალური განაწილების კანონისთვის. ამ პარამეტრებს პროგრამა ავტომატურად განსაზღვრავს, მაგრამ შესაძლებელია ხელითაც იყოს გამოთვლილი;
- **Options** ჩანართის ჩართვისას ეკრანზე გამოდის ოთხი ჩარჩო:



**Kologonov-Smirnov test** (კოლმოგონოვ-სმირნოვის ტესტი). აქ შეიძლება ავირჩიოთ სამი ოპცია: ტესტი არ გამოიყენება; ტესტი განისაზღვრება ინტერვალურად დაჯგუფებულ მონაცემებისათვის და ტესტი განისაზღვრება დაუჯგუფებელი მონაცემებისათვის.

**Chi - Square test** (პირსონის  $\chi^2$  თანხმობის ტესტი). თუ ჩართულია **Combine Categories** ალაში და ინტერვალში მოხვდა 5-ზე ნაკლები მნიშვნელობა, მაშინ ასეთი ინტერვალის გაერთიანება მეზობელ ინტერვალთან და ა.შ. მანამ სანამ ინტერვალში მოხვედრილი მნიშვნელობები 6-ზე მეტი არ იქნება. სხვა შემთხვევებში ინტერვალების გაერთიანება არ ხდება.

**Graph Plot Distributions** ოპციებით ხდება განაწილების გრაფიკების ტიპის დადგენა. თუ ჩართულია **Frequency distribution** ოპცია, მაშინ პროგრამა ააგებს განაწილების სიმკვრივის გრაფიკს, თუ ჩართულია **Cumulative distribution** ოპცია, მაშინ აგებული იქნება განაწილების ფუნქციის გრაფიკი.

**Plot raw frequencies or %** ოპციებში თუ ჩართულია **Raw frequencies** ოპცია, მაშინ გრაფიკის ვერტიკალურ ღერძზე გადაზომილი იქნება ფარდობითი სიხშირები, წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ როცა ჩართულია **Relative frequencies (%)** ოპცია - მათი პროცენტული ფარდობები.

## პრაქტიკული სამუშაო 2


### ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლების განსაზღვრა. კორელაციური ანალიზი.

#### 1. აღწერითი სტატისტიკა.


სტატისტიკური მახასიათებლების განსაზღვრისათვის გამოვიყენოთ *Examples* ბიბლიოთეკიდან შერჩეული *Heart 5* მონაცემთა ფაილი, სადაც წარმოდგენილია 6 ცვლადი: *AGE* (ასაკი), *SYST* (სისტოლური წნევა), *DIAST* (დიასტოლური წნევა), *HEIGHT* (სიმაღლე), *WEIGHT* (წონა) და *SER CH* (შრატში ხოლესტერინის რაოდენობა).

	1	2	3	4	5	6
	AGE	SYST	DTAST	HEIGHT	WEIGHT	SER CH
1	48	130	90	67	165	219
2	60	124	80	74	235	203
3	59	160	100	72	206	269
4	40	120	80	69	148	185
5	56	115	80	64	147	260
6	58	140	90	63	121	312
7	64	135	85	64	189	185
8	57	110	78	70	173	282
9	32	112	70	69	171	254
10	59	140	90	65	150	303
11	48	130	80	64	147	271
12	47	115	84	67	211	304
13	47	130	80	67	147	334
14	28	120	86	70	189	328
15	37	95	55	69	190	226
16	54	141	100	65	171	363
17	38	130	990	67	170	399
18	52	125	90	65	141	199
19	46	110	70	67	159	271
20	51	120	80	70	139	261
21	49	120	80	68	194	263
22	46	110	70	66	160	242
23	26	110	80	70	206	260
24	35	120	80	72	191	321

პროგრამის გასაშვებად *Statistics* მენიუში შევარჩიოთ *Basic Statistic Tables* (ძირითადი სტატისტიკები/ცხრილები). ეკრანზე გამოსულ *Basic Statistic and Tables* ფანჯრის მენიუში მოვნიშნოთ *Descriptive statistics* და შემდეგ *OK*.



ეკრანზე გამოდის *Descriptive Statistics* (აღწერითი სტატისტიკა)-ის სასტარტო ფანჯარა. ცვლადის ან ცვლადების მოსანიშნათ *click Variables* ღილაკზე და ეკრანზე გამოსულ ფანჯარაში მოვნიშნოთ ცვლადები. შემდეგ *OK*.




გბრუნდების სასტარტო ფანჯარაში და *click Summary: Descriptive Statistics* ღილაკზე. ეკრანზე გამოდის ცხრილი


Variable	Descriptive Statistics (HEART 5)				
	Valid N	Mean	Minimum	Maximum	Std.Dev.
AGE	30	48,1333	26,0000	64,0000	9,7618
SYST	30	122,7333	95,0000	160,0000	12,6353
DTAST	30	110,7000	55,0000	990,0000	166,3524
HEIGHT	30	67,8000	63,0000	74,0000	2,8575
WEIGHT	30	171,8000	121,0000	235,0000	30,3513
SER CH	30	270,5667	185,0000	399,0000	52,6417

სადაც წარმოდგენილია ძირითადი სტატისტიკული მახასიათებლები: საშუალო, სტანდარტული გადახრა, ცვლადების მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები და ცვლადების რაოდენობა.

თუ ჩვენ გვინტერესებს სხვა სტატისტიკური მახასიათებლები, მაშინ გავხსნათ **Advanced** ჩანართი.




ეკრანზე გამოსულ ფანჯარაში ჩაერთოდ ჩვენთვის სასურველი სტატისტიკური მახასიათებლების ოპციები. **Select all stats** ღილაკით ჩაირთვება ყველა ოპცია.



შემდეგ **click Summary: Descriptive Statistics** ღილაკზე. ეკრანზე გამოდის მონიშნული სტატისტიკური მახასიათებლების შესაბამისი ცხრილი.

Variable	Descriptive Statistics (HEART 5)													
	Valid N	Mean	Median	Mode	Frequency of Mode	Minimum	Maximum	Variance	Std.Dev.	Standard Error	Skewness	Std.Err. Skewness	Kurtosis	Std.Err. Kurtosis
AGE	30	48,1333	48,5000	Multiple	3	26,0000	64,0000	95,29	9,7618	1,78225	-0,663815	0,426892	-0,17586	0,832746
SYST	30	122,7333	120,0000	120,0000	7	95,0000	160,0000	159,65	12,6353	2,30688	0,693418	0,426892	1,65355	0,832746
DTAST	30	110,7000	80,0000	80,00000	10	55,0000	990,0000	27673,11	166,3524	30,37165	5,447697	0,426892	29,77772	0,832746
HEIGHT	30	67,8000	67,5000	Multiple	5	63,0000	74,0000	8,17	2,8575	0,52171	0,177847	0,426892	-0,72189	0,832746
WEIGHT	30	171,8000	168,5000	147,0000	4	121,0000	235,0000	921,20	30,3513	5,54136	0,465243	0,426892	-0,66442	0,832746
SER CH	30	270,5667	266,0000	Multiple	2	185,0000	399,0000	2771,15	52,6417	9,61102	0,389789	0,426892	-0,07119	0,832746


ცვლადის ან ცვლადების ნორმალური განაწილების კანონის გრაფიკულად შესამოწმებლად გამოიყენება **Descriptive Statistics** ფანჯრის **Normality** ჩანართი. ეკრანზე გამოდის ფანჯარა



თუ უწყვეტ შემთხვევით სიდიდესთან გვაქვს საქმე, მაშინ უნდა ჩავრთოდ **Number of intervals** ოპცია (დისკრეტული სიდიდისათვის – **Integer intervals** ოპცია). ჩავრთოდ **Kolmogorov-Smirnov&Liliefots test.....** ოპცია. **Frequency tables** დილაკით ეკრანზე გამოდის ცვლადების სისშირული ცხრილები.

Frequency table: SER CH (HEART 5)						
K-S d=.09672, p> .20; Lilliefors p> .20						
Category	Count	Cumulative Count	Percent of Valid	Cumul % of Valid	% of all Cases	Cumulative % of All
150,0000<x<=200,0000	3	3	10,00000	10,0000	10,00000	10,0000
200,0000<x<=250,0000	7	10	23,33333	33,3333	23,33333	33,3333
250,0000<x<=300,0000	11	21	36,66667	70,0000	36,66667	70,0000
300,0000<x<=350,0000	7	28	23,33333	93,3333	23,33333	93,3333
350,0000<x<=400,0000	2	30	6,66667	100,0000	6,66667	100,0000
Missing	0	30	0,00000		0,00000	100,0000

**Histograms** დილაკით გამოდის ცვლადების ჰისტოგრამები.




**Prob.&Scatterplots** ჩანართი ჩართვით ეკრანზე შესაძლებელია ცვლადების გრაფიკული გამოკვლევების ჩატარება.

**Categ.plots** ჩანართით შესაძლებელია ცვლადების კატეგორიზებული დაყოფის შედეგად მიღებული ჯგუფების გრაფიკული ანალიზის ჩატარება.

**Options** ჩანართით შესაძლებელია ცვლადების სტატისტიკური გამოკვლევების პარამეტრების შეცვლა.

## 2. კორელაციური ანალიზი.

**Descriptive Statistics** მოდულში განისაზღვრება პირსონის კორელაციის კოეფიციენტი. ამისათვის **Statistics** მენიუში შევარჩიოთ **Basic Statistic Tables** და ეკრანზე გამოსულ **Basic Statistic and Tables** ფანჯრაში მოვნიშნოთ **Correlation matrices** და შემდეგ **OK**. ეკრანზე გამოდის **Product Moment and Partial Correlations** სასტარტო ფანჯარა.






ცვლადების დასახელება შეიძლება მოცემული იყოს ერთი სიით (**One variable list**) ან ორი სიით (**Two fist(rect.matrix)**). პირველ შემთხვევაში აიგება კვადრატული კორელაციური მატრიცა, რომლის სტრიქონებს და სვეტებს წარმოადგენენ ცვლადები. მეორე შემთხვევის დროს აიგება მართკუთხა კორელაციური მატრიცა, რომლის სტრიქონები და სვეტები წარმოდგენილი არიან შესაბამისად ცვლადების პირველი და მეორე სიით.


click **One variable list** ღილაკზე. ეკრანზე გამოსულ ფანჯარაში მოვნიშნოთ ცვლადები და შემდეგ **OK**. ვბრუნდებით საწყის ფანჯარაში. click **Summary: Correlations matrix** ღილაკზე. ეკრანზე გამოდის კვადრატული კორელაციური მატრიცა:

Correlations (HEART 5)						
Marked correlations are significant at p < ,05000						
N=30 (Casewise deletion of missing data)						
Variable	AGE	SYST	DTAST	HEIGHT	WEIGHT	SER CH
AGE	1,00	0,51	-0,17	-0,23	-0,14	-0,21
SYST	0,51	1,00	0,15	-0,12	-0,07	0,21
DTAST	-0,17	0,15	1,00	-0,06	-0,00	0,48
HEIGHT	-0,23	-0,12	-0,06	1,00	0,66	-0,10
WEIGHT	-0,14	-0,07	-0,00	0,66	1,00	0,03
SER CH	-0,21	0,21	0,48	-0,10	0,03	1,00

სადაც წითელი ფერით აღნიშნულია სარწმუნო კორელაციის კოეფიციენტები. **Scatterplot matrix for selected variables** ღილაკის საშუალებით შესაძლებელია ავაგოთ გაფანტვის ფუნქციის გრაფიკები და შერჩეული ცვლადების ჰისტოგრამები. ეკრანზე გამოდის ცვლადების მოსანიშნი ფანჯარა. მოვნიშნოთ ცვლადები და შემდეგ **OK**.



სასტარტო ფანჯარაში ჩავრთოდ **Options** ჩანართი



სადაც შესაძლებელია კორელაციური ანალიზის პარამეტრების შეცვლა. ასე მაგალითად, თუ ჩართულია **Display simple matrix** ოპცია, მაშინ ეკრანზე გამოდის უბრალო კორელაციური მატრიცა.


თუ ჩაერთავთ **Display r, p-levels, and Ns** ოპციას, მაშინ კორელაციური მატრიცის უჯრედში კორელაციის კოეფიციენტთან ერთად წარმოდგენილი იქნება მისი შესაბამისი **p** მნიშვნელობის დონე. *click Summary* ღილაკზე ეკრანზე გამოდის შემდეგი ცხრილი:

Correlations (HEART 5)						
Marked correlations are significant at $p < .05000$						
N=30 (Casewise deletion of missing data)						
Variable	AGE	SYST	DTAST	HEIGHT	WEIGHT	SER CH
AGE	1,0000	,5119	-,1748	-,2252	-,1398	-,2083
	p= ---	p=,004	p=,356	p=,231	p=,461	p=,269
SYST	,5119	1,0000	,1542	-,1238	-,0677	,2105
	p=,004	p= ---	p=,416	p=,515	p=,722	p=,264
DTAST	-,1748	,1542	1,0000	-,0559	-,0034	,4756
	p=,356	p=,416	p= ---	p=,769	p=,986	p=,008
HEIGHT	-,2252	-,1238	-,0559	1,0000	,6611	-,0971
	p=,231	p=,515	p=,769	p= ---	p=,000	p=,610
WEIGHT	-,1398	-,0677	-,0034	,6611	1,0000	,0316
	p=,461	p=,722	p=,986	p=,000	p= ---	p=,868
SER CH	-,2083	,2105	,4756	-,0971	,0316	1,0000
	p=,269	p=,264	p=,008	p=,610	p=,868	p= ---


თუ ჩაერთავთ **Display detailed table of results** ოპციას, მაშინ კორელაციურ კოეფიციენტთან ერთად მოცემული იქნება ცვლადის სტატისტიკური ანალიზის შედეგები: საშუალო, სტანდარტული გადახრა, *t*-კრიტერიუმის მნიშვნელობა საშუალოების შესადარებლად და სხვა.

Correlations (HEART 5)											
Marked correlations are significant at $p < ,05000$											
(Casewise deletion of missing data)											
Var. X & Var. Y	Mean	Std.Dv.	r(X,Y)	r <sup>2</sup>	t	p	N	Constant dep: Y	Slope dep: Y	Constant dep: X	Slope dep: X
AGE	48,1333	9,7618									
AGE	48,1333	9,7618	1,000000	1,000000			30	0,000	1,00000	0,000	1,00000
AGE	48,1333	9,7618									
SYST	122,7333	12,6353	0,511909	0,262051	3,15325	0,003832	30	90,840	0,66260	-0,406	0,39549
AGE	48,1333	9,7618									
DTAST	110,7000	166,3524	-0,174757	0,030540	-0,93918	0,355671	30	254,044	-2,97807	49,269	-0,01025
AGE	48,1333	9,7618									
HEIGHT	67,8000	2,8575	-0,225232	0,050730	-1,22325	0,231432	30	70,974	-0,06593	100,300	-0,76943
AGE	48,1333	9,7618									
WEIGHT	171,8000	30,3513	-0,139802	0,019544	-0,74710	0,461233	30	192,722	-0,43467	55,858	-0,04496
AGE	48,1333	9,7618									
SER CH	270,5667	52,6417	-0,208307	0,043392	-1,12698	0,269318	30	324,636	-1,12332	58,585	-0,03863
SYST	122,7333	12,6353									
AGE	48,1333	9,7618	0,511909	0,262051	3,15325	0,003832	30	-0,406	0,39549	90,840	0,66260
SYST	122,7333	12,6353									
SYST	122,7333	12,6353	1,000000	1,000000			30	0,000	1,00000	0,000	1,00000
SYST	122,7333	12,6353									
DTAST	110,7000	166,3524	0,154188	0,023774	0,82576	0,415920	30	-138,448	2,02999	121,437	0,01171

*Advanced/plot* ჩანართით ხდება შერჩეული ცვლადების სტატისტიკური ანალიზის გრაფიკული წარმოდგენის გაფართოებული მომსახურება.



კორელაციის კერძო კოეფიციენტების მატრიცის გამოთვლისათვის *click Two fist(rect.matrix)* ღილაკზე.



ეკრანზე გამოსული ფანჯრის პირველ სვეტში მონიშნეთ ცვლადები, ხოლო მეორე სვეტში ერთი კონტროლირებადი ცვლადი. შემდეგ *click Partial correlations* ღილაკზე:

Partial Correlations (HEART 5)						
Marked correlations are significant at $p < ,05000$						
N=30 (Casewise deletion of missing data)						
Variable	AGE	SYST	DTAST	HEIGHT	WEIGHT	SER CH
AGE	1,00					
SYST		1,00	0,29	-0,01	0,00	0,38
DTAST		0,29	1,00	-0,10	-0,03	0,46
HEIGHT		-0,01	-0,10	1,00	0,65	-0,15
WEIGHT		0,00	-0,03	0,65	1,00	0,00
SER CH		0,38	0,46	-0,15	0,00	1,00

Partial Correlations (HEART 5)					
Marked correlations are significant at $p < ,05000$					
N=30 (Casewise deletion of missing data)					
Variable	AGE	SYST	DTAST	WEIGHT	SER CH
AGE	1,00	0,50	-0,19	0,01	-0,24
SYST	0,50	1,00	0,15	0,02	0,20
DTAST	-0,19	0,15	1,00	0,04	0,47
WEIGHT	0,01	0,02	0,04	1,00	0,13
SER CH	-0,24	0,20	0,47	0,13	1,00

### პრაქტიკული სამუშაო 3

#### მრავლობითი წრფივი რეგრესია


წრფივი რეგრესიის მოდელის მუშაობა განვიხილოთ *Petlocs* კომპანის მონაცემებისათვის, რომლებიც წარმოდგენილია *Petloks.sta* ფაილის სახით, სადაც წარმოდგენილია 4 ცვლადი: კომპანის თვიური გაყიდვების რაოდენობა (*RAOD*) (მლ.დოლარი), ერთი პროდუქტის ფასი (*FASI*), რეკლამის ხარჯი (*REKL*) და დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა (*TANAM*).

mesiac	Data: Petloks			
	1 RAOD	2 FASI	3 REKL	4 TANAM
1	4	1	8	24
2	5,2	0,9	9	26
3	3,8	1,1	6	20
4	2,9	1,2	5	18
5	4,6	0,95	7	20
6	4,5	0,9	6	30
7	3,7	1	6	27
8	5	0,95	10	28


შევარჩიოთ წრფივი რეგრესიის განტოლების შემდეგი სახე:

$$RAOD = b_0 + b_1 FASI + b_2 REKL + b_3 TANAM$$


*Statistics* მენიუში შევარჩიოთ **Multiple Regression** (მრავლობითი რეგრესია) და ეკრანზე გამოსულ **Multiple Linear Regression** სასტარტო ფანჯარაში **click Variables** ღილაკზე.



– გაიხსნება *Select dependent and independent variable lists* (სიიდან შევარჩიოთ დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები) ფანჯარა. ფანჯარის მარცხენა მხარეს მოვნიშნოთ დამოკიდებული ცვლადი (მაგალითად, *RAOD*), ხოლო მარჯვენა მხარეს დამოუკიდებელი ცვლადები (*FASI*, *REKL*, *TANAM*). შემდეგ **OK**.



– ვბრუნდებით სასტარტო ფანჯარაში. ჩავრთოთ *Advanced* (დამატებითი) ჩანართი, სადაც წარმოდგენილია შემდეგი ოპერაციები:




- *Advanced options (stepwise or ridge regression)* – ბიჯური რეგრესია.
- *Review descriptive statistics, correlation matrix* – აღწერითი სტატისტიკის და კორელაციური მატრიცის დათვალიერება.
- *Extended precision computations* – გამოთვლის სიზუსტის გაზრდა.
- *Batch processing/reporting* – მონაცემების პაკეტური დამუშავება/ბეჭვდა.

---

ე.ყუბანეიშვილი. მონაცემების სტატისტიკური დამუშავება


მოვნიშნოთ **Advanced options** და შეძღვოთ **OK**.

– ეკრანზე გამოდის **Model Definition** (მოდელის აგება) ფანჯარა. **Quick** ჩანართის **Method** ველში წარმოდგენილია შემდეგი მეთოდების ჩამონათვალი:



- **Standard** (სტანდარტული);
- **Forward stepwise** (ბიჯური ჩართვით);
- **Backward stepwise** (ბიჯური გამორიცხვით).

შეგარჩიოთ **Forward stepwise** მეთოდი. შეძღვოთ **OK**.



– ეკრანზე გამოდის **Multiple Regression Results** შედეგების ფანჯარა, სადაც ზედა სარკმელში წარმოდგენილია შედეგების შეფასების ძირითადი

ეკუბანეიშვილი. მონაცემების სტატისტიკური დამუშავება

ინფორმაცია, მეორე სარკმელში გამოტანილია რეგრესიის სტანდარტიზირებული კოეფიციენტები. ფანჯრის ქვედა ნაწილში განლაგებულია ფუნქციონალური დილაკები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ყოველმხრივ დავათვალიეროთ ანალიზის შედეგები.

ფანჯრის ინფორმაციულ ნაწილში წარმოდგენილია შედეგების მოკლე ინფორმაცია:

- **Dependet** (დამოკიდებული ცვლადი სახელი);
- **No.ofcases** (დაკვირვებათა რიცხვი);
- **Multiple R** = (მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი);
- **R-sqaare R<sup>2</sup>** = (დეტერმინაციის კოეფიციენტი);
- **Adjusted R<sup>2</sup>** = (კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი);
- **Standard error of estimate** = (სტანდარტული ცდომილება);
- **Intercept** (რეგრესიის  $b_0$  თავისუფალი წევრის შეფასება);
- **Std. error** = ( $b_0$  თავისუფალი წევრის სტანდარტული შეცდომა);
- **t = , p = ,** ( $t$  კრიტერიუმის და  $p$  მნიშვნელობის სიდიდეები

$H_0 : b_0 = 0$  ნულოვანი ჰიპოთეზის შესამოწმებლად);

• **F = , df = , p =** ( $F$  კრიტერიუმის მნიშვნელობა,  $df$  - თავისუფალი ხარისხი,  $p$  - მნიშვნელობის სიდიდე). გამოიყენებიან რეგრესიის განტოლების ადეკვატურობის დასადგენად ანუ დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების დამოკიდებულების ჰიპოთეზის შესამოწმებლად.

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადებს შორის კავშირი ძლიერია ( $R^2 > 0,76$ ), ე.ი. რეგრესიის განტოლება კარგად აღწერს ცვლადების შორის ურთიერთკავშირებს.

– **Advanced** ჩანართში **click Summeery: regression results** დილაკზე. ეკრანზე გამოდის შედეგების ცხრილი, სადაც სტატისტიკები დეტალურად არიან წარმოდგენილნი.

Regression Summary for Dependent Variable: RAOD (Petloks)						
R= ,96467046 R <sup>2</sup> = ,93058910 Adjusted R <sup>2</sup> = ,87853092						
F(3,4)=17,876 p<,00882 Std.Error of estimate: ,26440						
N=8	Beta	Std.Err. of Beta	B	Std.Err. of B	t(4)	p-level
<b>Intercept</b>			9,80599	2,571395	3,81349	0,018883
FASI	-0,812418	0,228380	-5,95435	1,673837	-3,55730	0,023643
REKL	0,415881	0,164709	0,18270	0,072358	2,52494	0,065014
TANAM	-0,223980	0,202949	-0,03900	0,035339	-1,10362	0,331683

ცხრილი შეიცავს სტანდარტიზირებულ (**Beta**) და არასტანდარტიზირებულ (**B**) რეგრესიის კოეფიციენტებს, მათ სტანდარტულ შეცდომებს და მნიშვნელობების დონეებს. **Beta** კოეფიციენტებს განჩიათ ნულოვანი საშუალო სიდიდე, ხოლო სტანდარტული გადახრა 1-ის ტოლია. ეს საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ თითოეული დამოუკიდებელი ცვლადის წვლილი რეგრესიის მოდელის აგებაში. ასე მადალითად, ჩვენს შემთხვევაში ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს **FAST** ცვლადს, ხოლო ყველაზე მცირე - **TANAM**. კოეფიციენტების უარყოფითი მნიშვნელობა ამ მაგალითში იმას ნიშნავს, რომ ფასის ზრდასთან ერთად და მომსახურე პერსონალის რაოდენობის გაზრდა იწვევს გაყიდვის რაოდენობის შემცირებას. **FAST**



ცვლადს დადებითი ნიშანი იმას ნიშნავს, რომ რეკლამის ხარჯის ზრდასთან ერთად იზრდება გაყიდვების რაოდენობაც.

რეგრესიის განტოლების  $b_1, b_2$  და  $b_0$  კოეფიციენტები სარწმუნოანი არიან  $p = 0.1$  მნიშვნელობის დონით, ხოლო  $b_3$  კოეფიციენტი სტატისტიკურად არ არის სარწმუნო, რადგან  $p > 0.1$ .

– **click Partial Correlation** (კერძო კორელაცია) დილაკზე, ეკრანზე გამოდის ცხრილი რომელიც შეიცავს **Beta** კოეფიციენტებს, კორელაციის კერძო კოეფიციენტებს, ნახევრად კერძო კოეფიციენტებს (**semipartcor**), ტოლერანტობის (**tolerance**), დეტერმინაციის კოეფიციენტებს, (**R-dsquare**), **t(4)** - სტეიდენტის **t** კრიტერიუმის მნიშვნელობას კერძო კორელაციური კოეფიციენტების სარწმუნოების შესამოწმებლად და **p** -მნიშვნელობას.

Variable	Variables currently in the Equation; DV: RAOD (Petloks)					
	Partial Cor.	Semipart Cor.	Tolerance	R-square	t(4)	p-level
FASI	-0,871678	-0,468603	0,332698	0,667302	-3,55730	0,023643
REKL	0,783882	0,332610	0,639637	0,360363	2,52494	0,065014
TANAM	-0,483136	-0,145380	0,421301	0,578699	-1,10362	0,331683


კორელაციის კერძო კოეფიციენტები, ისევე როგორც სტანდარტიზირებული **Beta** კოეფიციენტები, საშუალებას იძლევიან დამოუკიდებელი ცვლადების რანჟირებისა მათი დამოკიდებულ ცვლადთან ზეგავლენის ზომის მიხედვით. გარდა ამისა, კორელაციის კერძო კოეფიციენტები ფართოდ გამოიყენებიან დამოუკიდებელი ცვლადების შესარჩევად, კერძოდ რეგრესიის განტოლებაში მათი ჩართვის ან არჩართვისთვის. ცხრილიდან ჩანს, რომ დამოუკიდებელი ცვლადების რანჟირება, მათი დამოკიდებელი ცვლადთან ზეგავლენის ზომის მიხედვით, შემდეგია: **FASI**, **REKL**, **TANAM**, თანაც პირველი ორი ცვლადი იწვევს დამოკიდებელი ცვლადთან ძლიერ ზემოქმედებას, ხოლო მესამე ცვლადი – ზომიერ ზემოქმედებას.

**Semipart Cor** (ნახევრად კერძო კორელაცია) წარმოადგენს დამოკიდებელი და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის კორელაციის კოეფიციენტს, იმის გათვალისწინებით, რომ კონტროლირდება სხვა დამოუკიდებელი ცვლადების ზემოქმედება ამ დამოკიდებულ ცვლადზე და არ კონტროლირდება დამოუკიდებელი ცვლადების ზეგავლენა დამოკიდებულ ცვლადზე. თუ ნახევრად კერძო კორელაცია მცირეა, ხოლო კერძო კორელაცია შედარებით დიდია, მაშინ შესაბამის დამოუკიდებულ ცვლადს შეიძლება გააჩნდეს თავისი „ნაწილი“ დამოკიდებელი ცვლადის ცვალებადობაში, ანუ „ნაწილი“, რომელიც არ აიხსნება სხვა დამოუკიდებელი ცვლადებით. როგორც ცხრილიდან ჩანს, **FASI** და **REKL** ცვლადებს დამოკიდებელი ცვლადის ცვალებადობაში გაჩნიათ საკუთარი წილები.

ცხრილიდან ჩანს, რომ დეტერმინაციის ყველა კოეფიციენტი ზომიერი სიდიდისაა, მაგრამ **REKL** ურთიერთკავშირი დანარჩენ ორ დამოუკიდებელ ცვლადთან გაცილებით ნაკლებია, ვიდრე **FASI** და **TANAM** ცვლადებისა სხვა დანარჩენ ორ დამოუკიდებელ ცვლადთან.

ტოლერანტობა ტოლია **1 - R<sup>2</sup> (R-square)**.

რეგრესიული ანალიზის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს **Residuals** (ნაშთები). ამისათვის ჩაერთოთ **Residuals/assumptions/prediction** ჩანართი და **click Perform residuals analysis** ღილაკზე. ეკრანზე გამოდის **residuals analysis** (ნაშთების ანალიზი)-ის ფანჯარა.




**click Advanced** ჩანართის **Durbin-Watson statistic** (დარბინ-უიტსონის სტატისტიკა)-ის ღილაკზე. ეკრანზე გამოდის ცხრილი, სადაც ნახვენებია დარბინ-უიტსონის კრიტერიუმის მნიშვნელობა და სერიალური ავტოკორელაციის მნიშვნელობა.

Durbin-Watson d (Petloks) and serial correlation of residuals		
	Durbin-Watson d	Serial Corr.
Estimate	1.920437	-0.250565

რადგან დარბინ-უიტსონის სტატისტიკას გააჩნია მცირე მნიშვნელობა (1,9204) და სერიალური ავტოკორელაციის მნიშვნელობა (-0,2505) ზომიერი სიდიდისაა, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ცვლადებს შორის სუსტი კორელაცია შეიმჩნევა, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ რეგრესიულ მოდელს გააჩნია ადეკვატურობის არც ისე დიდი სიდიდე.

რეგრესიის განტოლება შესაძლებელია გამოყენებული იყოს დამოკიდებული ცვლადის პროგნოზირებისთვის. ამისთვის უნდა დავბრუნდეთ **Multiple Regressior Results** ფანჯარაში, სადაც უნდა გავხსნათ **Residuds/assumption/prediction** (ნარჩენები/შეფასება/პროგნოზირება) და **click Predict dependent variable** (დამოკიდებული ცვლადის პროგნოზირება) ღილაკზე.

– ეკრანზე გამოდის **Specify values for indep. vars** ფანჯარა, სადაც **FACI, REKL TANAM** ცვლადების ველში მიუთითოდ ფასი (1,1), რეკლამაზე ხარჯი (6) და თანამშრომელთა რაოდენობა (30).




Click OK. ეკრანზე გამოდის პროგნოზის შედეგების ცხრილი.

Predicting Values for (Petloks) variable: RAOD			
Variable	B-Weight	Value	B-Weight * Value
FASI	-5,95435	1,10000	-6,54978
RECL	0,18270	6,00000	1,09621
TANAM	-0,03900	30,00000	-1,17002
Intercept			9,80599
Predicted			3,18240
-95,0%CL			2,21760
+95,0%CL			4,14719


ცხრილიში ნაჩვენებია გაყიდვის პროგნოზი (*predicted*) – 3.1824 (მლ. დოლარი) 95%-ინი ნდობის ინტერვალით (2,2176; 4,1471).

რეგრესიული ანალიზის კორექტური გამოყენებისთვის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს, ნაშთების (ნარჩენების) განაწილება შეესაბამება თუ არა ნორმალურს. ამისთვის **Multiple Regression Result** ფანჯარაში ჩავრთოთ **Residuals/assumptions/prediction** ჩანართ და click **Perform Residual analysis** ღილაკზე. ეკრანზე გამოდის **Residual Analysis** ფანჯარა.




ე.ყუბანეიშვილი. მონაცემების სტატისტიკური დამუშავება

გავხსნათ **Residuals** ჩანართი და *click Histogram of residuals* ღლაკზე. ეკრანზე გამოდის ნაშთების ჰისტოგრამა და ნორმალური განაწილების სიმკვრივის ფუნქცია.



გრაფიკზე კარგად ჩანს, რომ დაკვირვებათა მცირე რაოდენობის (8) გამო ნარჩენების განაწილება არ შესაბამეობა ნორმალურს. იგივე ამოცანის გადასაწყვეტად შესაძლებელია გამოყენებული იყოს ნორმალური ალბათური გრაფიკი. ამისათვის **Residual Analysis** ფანჯარაში გავხსნათ **Probability** ჩანართი და *click Normal plot of residuals* ღლაკზე. ეკრანზე გამოდის ნორმალური ალბათობის გრაფიკი.



ჩატარებული წრფივი რეგრესიის ანალიზის საფუძველზე მივიღეთ შემდეგი რეგრესიის განტოლება

$$RAOD = 9.8059 - 5.9543 \cdot FASI + 0.1827 \cdot REKL - 0.039 \cdot TANAM$$

რადგან განტოლების ბოლო წევრის კოეფიციენტი 0,039 სტატისტიკურად არ არის სარწმუნო, ამიტომ მისი გამორიცხვა რეგრესიის განტოლებიდან შესაძლებელია.

პრაქტიკული სამუშაო 4

არაწრფივი რეგრესიული ანალიზი

*Statistica* პროგრამაში რეალიზირებული არაწრფივი რეგრესიული ანალიზის ორი მოდელი: **Fixed Nonlinear Regression** (ფიქსირებული არაწრფივი რეგრესია)-ის მოდელი, სადაც შესაძლებელია გაწრფივების პროცესის ჩატარება და **Nonlinear Estimation** (არაწრფივი შეფასება)-ის მოდელი სადაც გაწრფივება შეუძლებელია. განვიხილოთ **Fixed Nonlinear Regression** მოდელი.


მოდელის მუშაობა განვიხილოთ **Cherepaxa.sta** მონაცემთა ფაილზე, სადაც წარმოდგენილია 20 კუს ზომები (**LENGTH**–სიგრძე, **WIDTH**–სიგანე, **HEIGHT** –სიმაღლე, **WEIGHT** –წონა).

Data: <i>Cherepaxa</i>				
	1	2	3	4
	LENGTH	WIDTH	HEIGHT	WEIGHT
1	98	81	38	155
2	103	84	38	160
3	103	86	42	164
4	105	86	42	165
5	109	88	44	170
6	123	92	50	180
7	123	95	46	180
8	133	99	51	190
9	133	102	51	193
10	133	102	51	190
11	134	100	48	190
12	136	102	49	192
13	138	98	51	192
14	141	99	51	193
15	147	105	53	200
16	149	108	57	210
17	153	107	55	206
18	149	107	56	210
19	155	115	63	220
20	155	117	60	220

განვიხილოთ კუს წონის კვადრატული დამოკიდებულება სიგრძეზე, სიგანეზე და სიმაღლეზე


$$Weight = b_0 + b_1 + b_2 width + b_3 height + b_4 (length)^2 + b_5 (width)^2 + b_6 (height)^2.$$

*Statistica* მენიუში შევარჩიოთ **Advanced Linear/Nonlinear Modest** და **click Fixed Nonlinear Regression** ბრძანებაზე.




– გაიხსნება ამავე დასახელების ფანჯარა, *click Variables* ღილაკზე. შევარჩიოთ ყველა ცვლადი. შემდეგ *OK*.

– ჩაერთოთ ოპცია *Review descriptive statistics, correlation matrix* (ვაჩვენოთ აღწერით სტატისტიკა, კორელაციული მატრიცა). (ოპცია *Extended precision computations* ნიშნავს გაზრდილი სიზუსტით გამოთვლის რეჟიმს). შემდეგ *OK*.



– ეკრანზე გამოდის *Nonlinear Components Regression* ფანჯარა, რომელიც ითვალისწინებს ცვლადების გაწრფივების გარდაქმნას. *Nonlinear transformation functions* სვეტში მოყვანილია შესაბამისი გარდაქმნები, ხოლო *Valid Range* სვეტში ნაჩვენებია ცვლადების დასაშვები დიაპაზონი. რადგან ჩვენ ავირჩიეთ კვადრატული მოდული, ამიტომ ჩაერთოთ *X<sup>2</sup>* ოპცია. შემდეგ *OK*.



– გაიხსება *Review Descriptive Statistics* ფანჯარა. ჩაერთოდ *Advanced* ჩანართი და *click Correlations* ღილაკზე, ეკრანზე გამოდის კორელაციური მატრიცა, სადაც წინასწარ, მრავლობითი რეგრესიის მოდელის ჩართვამდე, შესაძლებელია დავათვალიეროთ პრედიქტორების (დამოუკიდებელი ცვლადები) ( $length, width, height, length^2, width^2, height^2$ ) და დამოკიდებული  $weight$  ცვლადის კორელაციები


Variable	Correlations (Cherepaxa)							
	LENGTH	WIDTH	HEIGHT	WEIGHT	V1**2	V2**2	V3**2	V4**2
LENGTH	1,000000	0,965828	0,950057	0,981373	0,998101	0,956053	0,935917	0,973555
WIDTH	0,965828	1,000000	0,962186	0,989023	0,968673	0,998475	0,958296	0,988084
HEIGHT	0,950057	0,962186	1,000000	0,980127	0,953293	0,960685	0,996719	0,979675
WEIGHT	0,981373	0,989023	0,980127	1,000000	0,984571	0,986050	0,975006	0,998602
V1**2	0,998101	0,968673	0,953293	0,984571	1,000000	0,961899	0,943373	0,979778
V2**2	0,956053	0,998475	0,960685	0,986050	0,961899	1,000000	0,960924	0,987960
V3**2	0,935917	0,958296	0,996719	0,975006	0,943373	0,960924	1,000000	0,978637
V4**2	0,973555	0,988084	0,979675	0,998602	0,979778	0,987960	0,978637	1,000000

*Means & standard deviations* და *Covariances* ღილაკით შეგვიძლია დავათვალიეროთ ცვლადების საშუალოები, სასშუალო კვადრატული გადრახრები და კოვარიაციული მატრიცა.


Variable	Means and Standard Deviations (Cherepaxa)		
	Means	Std.Dev.	N
LENGTH	131,00	18,750	20
WIDTH	98,65	10,064	20
HEIGHT	49,80	6,748	20
WEIGHT	189,00	19,178	20
V1**2	17495,00	4771,464	20
V2**2	9828,05	1981,724	20
V3**2	2523,30	671,689	20
V4**2	36070,40	7212,854	20

Variable	Covariances (Cherepaxa)							
	LENGTH	WIDTH	HEIGHT	WEIGHT	V1**2	V2**2	V3**2	V4**2
LENGTH	351,6	182,26	120,21	352,9	89297	35525	11787	131668
WIDTH	182,3	101,29	65,35	190,9	46518	19914	6478	71728
HEIGHT	120,2	65,35	45,54	126,8	30694	12847	4518	47684
WEIGHT	352,9	190,89	126,84	367,8	90094	37475	12560	138134
V1**2	89297,2	46517,53	30694,42	90094,5	22766872	9095449	3023452	33719913
V2**2	35525,2	19914,44	12847,12	37475,0	9095449	3927229	1279086	14121788
V3**2	11787,4	6478,22	4517,75	12559,6	3023452	1279086	451165	4741293
V4**2	131667,6	71728,04	47683,77	138133,6	33719913	14121788	4741293	52025265

– დავბრუნდეთ *Review Descriptive Statistics*-ის ფანჯარაში და *click OK*. გაიხსენბა *Model definition* ფანჯარა, სადაც *Method* არეში შევარჩიოთ *Forward stepwise* (ბიჯური ჩართვა)-ის მეთოდი.




– *click Variables* ღილაკზე. გაიხსენბა *Select dependent and independent variable lists* ფანჯარა სადაც *Dependent variables* ველში მოვნიშნოთ დამოკიდებული ცვლადი *Weight*, ხოლო *Independent variables* ველში დამოუკიდებელი ცვლადი. (ჩვენი მაგალითის შემთხვევაში *Lenght, Width, Height, V1\*\*2, V2\*\*2*). შემდეგ *OK*.





– ვბრუნდებით **Model Definition** ფანჯარაში. *click OK*. ეკრანზე გამოდის **Multiple Regression Results** ფანჯარა. *click Quick* ჩანართის **Summary: regression results** ლილაკზე. ეკრანზე გამოდის შედეგების ცხრილი, სადაც წარმოდგენილია სტანდარტიზირებული (**Beta**) და არასტანდარტული (**B**) რეგრესიის კოეფიციენტები, მათი სტანდარტული შეცდომები და მნიშვნელოვნების დონეები. როგორც ცხრილიდან ჩანს მრავლობით კორელაციის და დეტერმინაციის კოეფიციენტებმა მიიღეს ერთთან მიახლოებული მნიშვნელობები (0,9968; 0,9935), რაც მიგვანიშნებს რეგრესიის განტოლების ადეკვატურობაზე.




Regression Summary for Dependent Variable: WEIGHT (Cherepaxa)						
R = .99758981 R <sup>2</sup> = .99518544 Adjusted R <sup>2</sup> = .99428270						
F(3,16) = 1102.4 p < .00000 Std. Error of estimate: 1.4501						
N=20	Beta	Std. Err. of Beta	B	Std. Err. of B	t(16)	p-level
Intercept			51.40707	8.467403	6.071173	0.000016
WIDTH	0.390382	0.081585	0.74388	0.155460	4.784995	0.000202
V1**2	0.330428	0.073575	0.00133	0.000296	4.491027	0.000370
HEIGHT	0.289513	0.067078	0.82278	0.190633	4.316068	0.000533


Variables currently in the Equation; DV: WEIGHT (Cherepaxa)							
Variable	Beta in	Partial Cor.	Semipart Cor.	Tolerance	R-square	t(16)	p-level
WIDTH	0.390382	0.767234	0.083004	0.045209	0.954791	4.784995	0.000202
V1**2	0.330428	0.746750	0.077905	0.055587	0.944413	4.491027	0.000370
HEIGHT	0.289513	0.733452	0.074870	0.066877	0.933123	4.316068	0.000533

ბიჯურმა რეგრესიამ არწრფივ რეგრესიულ განტოლებაში ჩართო მხოლოდ **Length<sup>2</sup>**, **Height<sup>2</sup>** და **Width** ცვლადი.


რეგრესიის მოდელის ადეკვატურობისთვის დავბრუნდეთ **Multiple Regression Results** ფანჯარაში გავხსნათ **Residuals/assumptions/prediction** ჩანართი და *click* **Perform residuals analysis** ღილაკზე.




– ეკრანზე გახსნილ **Residual Analysis** ფანჯარაში ჩავრთოდ **Residuals** ჩანართს და **Type of residual** ოპციებში შევარჩით **Standart residuals**. შემდეგ *click* **Histogram of residuals**.



ეკრანზე გამოდის გრაფიკი შესაბამისი ნაშთების ჰისტოგრამით და განაწილების სიმკვრივის ფუნქციით.



როგორც ამ გრაფიკიდან ჩანს, მცირე დაკვირვების (20) გამო განაწილება დაახლოებით შეიძლება ჩავთვალოთ ნორმალურად. ნორმალური ალბათური გრაფიკის გამოყენებისას **Residual Analysis** ფანჯარაში გავსსნათ **Probability** ჩანართი და **click Normal plot of residuals** ღილაკზე. ეკრანზე გამოდის ნორმალური ალბათობის გრაფიკი.



ამრიგად რეგრესიის განტოლება ღებულობს შემდეგ სახეს:  
 $Y = b_0 + b_1V1^2 + b_2V2^2$  ანუ  $weight = 107,087 + 0,0024 \cdot length^2 + 0,0042 \cdot width^2$ .


პრაქტიკული სამუშაო 6

დისპერსიული ანალიზი

ჩაერთოდ **Advanced** ჩანართი და **click Summary: Life table** (გადარჩენის ცხრილის შედეგები)-ის ღილაკზე. ეკრანზე გამოდის შედეგების სრული გაშლილი ცხრილი

Life Table (Heart)											
Log-Likelihood for data: -68,6809											
Interval	Interval Start	Mid Point	Interval Width	Number Entering	Number Withdrwn	Number Exposed	Number Dying	Proportn Dead	Proportn Surviving	Cum.Prop Surviving	Problty Density
Intno.1	0,000	80,682	161,3636	65	14	58,00000	19	0,327586	0,672414	1,000000	0,002030
Intno.2	161,364	242,046	161,3636	32	4	30,00000	4	0,133333	0,866667	0,672414	0,000556
Intno.3	322,727	403,409	161,3636	24	4	22,00000	0	0,022727	0,977273	0,582759	0,000082
Intno.4	484,091	564,773	161,3636	20	4	18,00000	1	0,055556	0,944444	0,569514	0,000196
Intno.5	645,455	726,136	161,3636	15	1	14,50000	1	0,068966	0,931034	0,537875	0,000230
Intno.6	806,818	887,500	161,3636	13	3	11,50000	1	0,086957	0,913044	0,500780	0,000270
Intno.7	968,182	1048,864	161,3636	9	1	8,50000	2	0,235294	0,764706	0,457234	0,000667
Intno.8	1129,545	1210,227	161,3636	6	1	5,50000	0	0,090909	0,909091	0,349649	0,000197
Intno.9	1290,909	1371,591	161,3636	5	1	4,50000	1	0,222222	0,777778	0,317863	0,000438
Intno.10	1452,273	1532,955	161,3636	3	2	2,00000	0	0,250000	0,750000	0,247227	0,000383
Intno.11	1613,636	1694,318	161,3636	1	0	1,00000	0	0,500000	0,500000	0,185420	0,000575
Intno.12	1775,000			1	1	0,50000	0	1,000000	0,000000	0,092710	

სადაც წარმოდგენილია:

- **Interval Start** – ინტერვალის დასაწყისი;
- **Mid Point** – ინტერვალის საშუალო მნიშვნელობა;
- **Interval Width** – ინტერვალის სიგრძე;
- **Number Entering** – ობიექტების რაოდენობა, რომლებიც „ცოცხლები“ იყვნენ განსახილველი ინტერვალის დასაწყისში;
- **Number Exposed** – შესასწავლი ობიექტების რაოდენობა, ანუ განსახილველი ინტერვალის დასაწყისში არსებული „ცოცხალი“ ობიექტების რაოდენობას მინუს ცენზურირებული ან გამორიცხული ობიექტების ნახევარი;
- **Number Dying** – მოცემულ ინტერვალში დაღუპულთა რაოდენობა;
- **Number Dead** – მოცემულ ინტერვალში დაღუპულთა ფარდობითი სიხშირე, რომელიც ტოლია ინტერვალში დაღუპულთა რაოდენობის ფარდობისა ამ ინტერვალის შესასწავლი ობიექტა რაოდენობაზე;
- **Proportion surviving** – გადარჩენილთა ფარდობითი სიხშირე, რომელიც ტოლია ერთს გამოკლებული დაღუპულთა ფარდობითი სიხშირე;
- **Comulative Proportion surviving** – გადარჩენილთა კუმულატიური (დაგროვილი) ფარდობითი სიხშირე, რომელიც ტოლია წინა ინტერვალების ფარდობითი სიხშირეების ნამრავლისა. ფაქტიურად ეს არის გადარჩენის ფუნქციის შეფასება;
- **Probability density** – სიმკვრივის ფუნქციის შეფასება, რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$f_i = \frac{P_i - P_{i+1}}{h_i}$$

სადაც  $f_i$  –  $i$ -ურ მომენტში რისკის ფუნქციის შეფასებაა;

$P_i, P_{i+1}$  –  $i$  და  $i+1$  ინტერვალების დასაწყისში გადარჩენილთა კუმულატიური ფარდობითი სიხშირეების (გადარჩენის ფუნქციის) შეფასებებია;  $h_i$  –  $i$ -ური ინტერვალის სიგრძე.

- **Hazard rate** (მტყუნების ინტენსივობის ან მყისიერი რისკის ფუნქციის) შეფასებებია, რომლებიც განისაზღვრებიან როგორც შესაბამისი ინტერვალის დროის ერთეულზე მოსული მტყუნების რაოდენობა გაყოფილი ობიექტების საშუალო სიდიდეზე, რომლებმაც იცოცხლეს ინტერვალის საშუალო დრომდე;
- **Std.Err.Cum.surv.** – გადარჩენილთა კუმულატიური ფარდობითი სიხშირის სტარდარტული შეცდომა;
- **Std. Err.Prob.Den** – განაწილების სიმკვრივის სტარდარტული შეცდომა;
- **Std. Err.Har.Rate** – ინტენსივობის ფუნქციის სტარდარტული შეცდომა;
- **Median Life expected** – მოსალოდნელი გადარჩენის მედიანა;
- **Std. Err.Life expected** – მედიანის სტარდარტული შეცდომა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამი ძირითადი ფუნქციის (გადარჩენის, სიმკვრივის და ინტენსივობის) შეფასების და მათი სტარდარტული

შეცდომებისათვის ყოველ დროით ინტერვალში რეკომენდირებულია გამოყენებული იყოს არა ნაკლები 30 დაკვირვება.

**Results for modet** ველი გამოიყენება განაწილების კანონის დასადგენად: **Exponential** (ექსპონენციალური), **Linear Hazard** (წრფივი ინტენსივობის ოჯახი), **Gompertz** (გომპერტცის) და **Weibull** (ვეიბულის). მარტივი გარდაქმნების შედეგად ოთხივე განაწილება დაიყვანება  $y = ax + b$  წრფივ განტოლებამდე.

**Parameter estimates** დილაკის საშუალებით ხდება ელექტრონულ ცხრილებში შესაბამისი გადარჩენის განაწილების ფუნქციის პარამეტრების შეფასების შედეგების გამოტანა.

**Results for modet** ველის სიის საშუალებით მოცემული მონაცემებისათვის შეიძლება შეირჩეს ოთხი თეორიული განაწილების ფუნქცია. **Survival Analysis** მოდული თეორიულ განაწილების ფუნქციას ირჩევს უმცირეს კვადრატთა მეთოდით ანუ **Weight 1** – როცა წონითი კოეფიციენტები ერთის ტოლია და ორი შეწონილი კვადრატების მეთოდით **Weight 2** და **Weight 3** (ამიტომ, რომ ცხრილში გამოდის სამივე წონითი მნიშვნელობები)

$$WSS = \sum_i w_i (y_i - a - bx_i)^2 ,$$

სადაც  $w = 1$  (არაშეწონილი უმცირეს კვადრატები);

$w = 1/v_i$  (შეწონილი უმცირეს კვადრატები);

$w = n_i \cdot h_i$  (შეწონილი უმცირეს კვადრატები);

$v_i$  – ინტენსივობის დისპერსიის შეფასება;

$h_i$  და  $n_i$  –  $i$ -ური ინტერვალის სიგრძე და  $i$ -ური ინტერვალის დასაწყისში არსებული ობიექტების რაოდენობა.

ებრუნდებით **Life Table & Survival Time Distribution Results Heart** ფანჯარაში, სადაც **Results for modet** ველით განისაზღვრება: რომელი თეორიული განაწილების ფუნქცია საუკეთესოდ შეესაბამება ემპირიულ განაწილების ფუნქციას.

**Results for modet** ველში შევარჩიოთ ვეიბულის განაწილება და **click Parameter estimates** დილაკზე. ეკრანზე გამოდის ცხრილი


Parameter Estimates, Model: Weibull (Heart)											
Note: Weights: 1=1., 2=1./V, 3=N(I)*H(I)											
Estimate Method	Lambda	Variance Lambda	Std.Err. Lambda	Gamma	Variance Gamma	Std.Err. Gamma	Covariance Gam-Lamd	Log-Likelhd.	Chi-Sqr.	df	p
Weight 1	0,000311	0,000000	0,000574	1,142167	0,072583	0,269413	-0,000153	-84,3429	31,32401	9	0,000262
Weight 2	0,016002	0,000322	0,017952	0,644320	0,027270	0,165137	-0,002927	-75,4347	13,50757	9	0,141007
Weight 3	0,051100	0,005217	0,072230	0,427680	0,036929	0,192170	-0,013704	-72,5594	7,75703	9	0,558814

სადაც ჩანს, რომ საუკეთესოა **Weight 3**, რადგან ამ წონას შეესაბამება ხი-კვადრატ კრიტერიუმის უმცირესი მნიშვნელობა (7,757) და  $p$  მნიშვნელობა (0,5588), რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება 0,05 სიდიდეს.


**Exstimates of survival function, Exstimates of hazard function, Exstimates of prob.density funct.** დილაკებით შესაძლებელია დამოუკიდებლად გადარჩენის, რისკის, განაწილების ფუნქციების შეფასებების ცხრილების გამოტანა. ამ ფუნქციების საწყისი მნიშვნელობები შეიძლება გამოვიტანოთ **Life table**





საერთო ცხრილში. ცხრილების ინფორმაციულ ნაწილებში გამოდის წონების გამოსათვლელი ფორმულები. ჩაერთოდ **Function plots** ჩანართი,



სადაც **Plot of hazard function**, **Plot of survival function**, **Plot of prob.density** დილაკებით შესაძლებელია გადარჩენის, რისკის და განაწილების ფუნქციების აგება.





გრაფიკებზე მთლიანი მრუდით წარმოდგენილია საწყისი (ემპირიული) განაწილება, ხოლო წყვეტილი ფერადი მრუდით – თეორიული განაწილებები, რომლებიც შეესაბამებიან სხვადასხვა წონებს.


რისკის ფუნქციის გრაფიკიდან ჩანს, რომ დაღუპვის რისკის ალბათობა მკვეთრად მცირდება ოპერაციის პირველი დღიდან 322 დღემდე, შემდეგ ეს ალბათობა უმნიშვნელად იზრდება 806 დღემდე და მკვეთრად იზრდება 968 დღემდე. შემდეგ რისკის ალბათობა მცირდება 1129 დღემდე, რომლის შემდეგ იგი კვლავ მკვეთრად იზრდება. ყველაზე კარგი მიახლოება თეორიულ განაწილებასთან გვაძლევს **Weight 3** წონით შეწონილი უმცირეს კვადრატთა მეთოდი.

გადარჩენის ცხრილიდან და ჰისტოგრამიდან გამომდინარეობს, რომ ოპერაციიდან 161 დღის შემდეგ გადარჩენილების კუმულატიური ფარდობითი სიხშირე შეადგენს 67,2%, ხოლო 322 დღის შემდეგ – უკვე 58,3%. შემდგომ გადარჩენილების კუმულატიური ფარდობითი სიხშირის დაკლება გრძელდება, მაგრამ კლების ტემპი ეცემა. მკვეთრი შემცირება აღინიშნება 1129 დღის შემდეგ და შეადგენს 34,96%. განხილული დროის ინტერვალის ბოლოს (1775 დღის შემდეგ) გადარჩენილების ფარდობითი სიხშირე შეადგენს მხოლოდ 9,3%.


გადარჩენის ჰისტოგრამიდან ჩანს, რომ პაციენტების დაღუპვის ყველაზე დიდი რისკი არის ოპერაციიდან პირველი 161 დღე, უმცირესი 322 დღიდან 484 დღემდე.

## 2. კაპლან – მეიერის მამრავლების შეფასების მეთოდი

**Survival and Failure Time Analysis** სასტატო ფანჯარაში მოვნიშნოთ **Kaplan & Meier product-limit method** (კაპლან-მეიერის მამრავლების მეთოდი) და შემდეგ **OK**. ეკრანზე გამოდის **Product-Limit (Kaplan&Meier) Analysis** ფარჯარა,



სადაც მიუთითოდ ცვლადების კოდები ისე, როგორც **Line tables & Distributions of Survival Times** ფანჯარის დროს. **click OK**. ეკრანზე გადარჩენის ფუნქციის შეფასებისათვის გამოდის **Product-Limit (Kaplan&Meier) Analysis Results** ფარჯარა.




Click **Summary: Product-limit Survival analysis** ღილაკზე. ეკრანზე გამოდის შედეგების ცხრილი,

Kaplan-Meier (Product-limit) analysis (H)			
Note: Censored cases are marked with			
Case Number	Time	Cumulativ Survival	Standard Error
23+	0,000		
16+	1,000		
65+	1,000		
2+	3,000		
10	10,000	0,983607	0,016259
46+	12,000		
64+	13,000		
1+	15,000		
9+	23,000		
42	25,000	0,966042	0,023622
58+	26,000		
49	29,000	0,948152	0,029183

სადაც ცენზურირებული მონაცემები აღნიშნულია „+“ სიმბოლოთი. ცხრილის პირველ სვეტში ნაჩვენებია საწყის მონაცემთა ფაილში არსებული პაციენტების ნომრები, მეორე სვეტში – ჰოსპიტალში გატარებული დრო, რომელიც როგორც ცხრილიდან ჩანს იცვლება 0-დან 1775 დღემდე. ყველაზე მცირე დღე დაყო 23-ე პაციენტმა, რადგან მან ოპერაციის პირველ დღეს დატოვა საავადმყოფო. ყველაზე ბევრი დღე საავადმყოფოში დაყო მე-15 პაციენტმა, კერძოდ 1775 დღე.

თუ **Cumulative Survival** სვეტში მანაცემები არ არსებობენ, მაშინ პაციენტი გაეწერა ჰოსპიტალიდან (ცენზურირებული დაკვირვება), თუ მნიშვნელობა არსებობს – ე.ი. პაციენტი დაიღუპა და მან იცოცხლა **Time** სვეტში მითითებული დღეების რაოდენობა. მაგალითად, მე-10 პაციენტმა ოპერაციის შემდეგ იცოცხლა 10 დღე.

გადარჩენის ფუნქციის გრაფიკული გამოსახულების ასაგებად Click **Survival times vs. cum. proportion surviving** ღილაკზე. ეკრანზე გამოდის გადარჩენის ფუნქციის გრაფიკული გამოსახულება



სადაც ჩანს, რომ გულის ტრანსპლანტაციის შემდეგ გადარჩენის ფუნქციის მნიშვნელობა მკვეთრად ეცემა პირველ 100 დღეში. ამ მომენტიდან დაწყებული გადარჩენის ფუნქცია კლებულობს უფრო ნელა. აქედან შეიძლება გავაკეთოდ შემდეგი დასკვნა: გულის ტრანსპლანტაციის შემდეგ პირველ 100 დღე ყველაზე უფრო კრიტიკულია. ნახაზზე სრული დაკვირვებები წერტილებით არიან აღნიშნულნი, ხოლო არასრულები – ჯვრებით.

თუ მოვახდენთ **Advanced** ჩანართში **Click Percentiles of survival function** ღილაკზე, მაშინ გამოდის პროცენტების ცხრილი,

Percentiles of (Heart) the Survival Function	
Percentiles	Survival Time
25 <sup>th</sup> percentile (lower quartile)	63,5140
50 <sup>th</sup> percentile (median)	679,1255
75 <sup>th</sup> percentile (upper quartile)	

სადაც ნაჩვენებია, რომ პაციენტების 25% იღუპება პირველ 64 დღეში, ხოლო 50% (მედიანა) – პაციენტები ცოცხლობენ უფრო დიდხანს, არა ნაკლებ 679 დღისა. იღუპება პირველ 64 დღეში, ხოლო 50% (მედიანა) – პაციენტები ცოცხლობენ უფრო დიდხანს, არა ნაკლებ 679 დღისა.

## პრაქტიკული სამუშაო 11

### ბაღარჩენის ანალიზი. ბაღარჩენის ფუნქციების შედარება

#### 1. ორი გადარჩენის ფუნქციის შედარება

გადარჩენის ფუნქციების შედარებისათვის გამოიყენება ხუთი კრიტერიუმი: ვილკოქსონ – გეჰანის, კოქსის  $F$  – კრიტერიუმი, კოქსი – მენტელის კრიტერიუმი, ლოგარითმული რანგული კრიტერიუმი და ვილკოქსონ – პეტის კრიტერიუმი. ამ კრიტერიუმების უმეტესობა განსაზღვრავს სტანტარტიზებული ნორმალური განაწილების  $Z$  მნიშვნელობას. კრიტერიუმების ნაკლი ისაა, რომ მცირე ამონარჩევების დროს ისინი არც ისე საიმედოა არიან. აქედან გამომდინარე, სასურველია გადარჩენის ფუნქციასთან ერთად რიცხვითი კრიტერიუმების გამოყენება.


არ არსებობს მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმების გამოყენების რეკომენდაციები. მაგრამ, ცნობილია, რომ ჩვეულებრივ კოქსის  $F$  – კრიტერიუმს გააჩნია დიდი სიმძლავრე, ვიდრე ვილკოქსონ – გეჰანის კრიტერიუმს, თუ სრულდება შემდეგი პირობები:

- ჯგუფების დაკვირვებათა რაოდენობა მცირეა (ანუ  $n < 50$ );
- მონაცემებს გააჩნიათ ექსპონენციალური ან ვეიბულის განაწილება;
- არ არსებობს ცენზურირებული დაკვირვებები.


კოქსი – მენტელის და ლოგარითმული რანგული კრიტერიუმებს გააჩნიათ დიდი სიმძლავრე, თუ ამონარჩევები აღებულია ექსპონენციალური ან ვეიბულის განაწილების შემთხვევაში, მაშინ ამ ორ კრიტერიუმს შორის თითქმის არ არსებობს განსხვავება.

გადარჩენის ფუნქციის შედარებისათვის გამოვიყენოთ იგივე *Heart* მონაცემთა ფაილი. გულის გადანერგვის ოპერაციები ჩატარდა სამ კლინიკაში: *Hillview*, *St\_Andrea*, *Biner*. შევადაროთ *Hillview* და *St\_Andrea* კლინიკების გადარჩენის ფუნქციები.


**Survival Analysis** (გადარჩენის ანალიზი) მოდულის გაშვებისათვის **Statistics** მენიუში მოვნიშნოთ **Advanced Linear/Nonlinear Modest** და შევარჩიოთ **Survival Analysis** ბრძანება. ეკრანზე გამოდის **Survival and Failure Time Analysis** სასტარტო ფანჯარა, სადაც **Click Comparing two samples** (ორი ჯგუფის შედარება)-ის სტრიქონზე და შემდეგ **OK**. ეკრანზე გამოდის **Comparing Survival in Two Groups** ფანჯარა.




Click **Variables** ღილაკზე და ეკრანზე გამოსულ ფანჯარის პირველ სვეტში მოვნიშნოთ პირველი ექვსი ცვლადი, მეორე სვეტში მე-7 ცვლადი და მესამე სვეტში დამაჯგუფებელ ცვლადად შევარჩიოთ **Hospital**.




შემდეგ **OK**. ეკრანზე გამოდის **Comparing Survival in Groups** ფანჯარა,



სადაც ორჯერ *Click Code for complete responses, Code for censored responses* ველებში და შევარჩიოთ შესაბამისად *COMPLETE* და *CENSORED*. შემდეგ *OK*. გაიხსნება *Two-Sample Test Results* (ორი კრიტერიუმის შედარების შედეგები)-ის ფანჯარა.



ჩავრთოდ *Two-sample test* ჩანართი. ეკრანზე გამოდის ფანჯარა, სადაც პირველი 5 ლილაკი შეესაბამება კრიტერიუმების დასახელებას.





**Gehans Wilcoxon test** ღილაკზე დაწკაპუნებით ეკრანზე გამოდის შედეგების ცხრილი,

Gehan's Wilcoxon Test (Heart)			
WW = -2,000 Sum = 12456, Var = 3186,4			
Test statistic = -.026573 p = ,97880			
Survival Time	Group	R1	R2
0,0000+	ST_AND	1,00000	1,00000
1,0000+	ST_AND	1,00000	1,00000
3,0000+	HILLVIEW	1,00000	1,00000
10,000	HILLVIEW	1,00000	41,00000
12,000+	HILLVIEW	2,00000	1,00000
13,000+	HILLVIEW	2,00000	1,00000
15,000+	HILLVIEW	2,00000	1,00000
23,000+	HILLVIEW	2,00000	1,00000
25,000	ST_AND	2,00000	36,00000
26,000+	ST_AND	3,00000	1,00000
29,000	ST_AND	3,00000	34,00000
30,000+	ST_AND	4,00000	1,00000
39,000	HILLVIEW	4,00000	32,00000
44 000+	ST_AND	5 00000	1 00000

სადაც პირველ სვეტში დროში ზრდადობის მიხედვით ნაჩვენებია დაკვირვებათა ცხოვრების ხანგრძლივობა (ცენზურირებული დაკვირვებები აღნიშნულია (+) ნიშნით). მეორე სვეტში ნაჩვენებია ჯგუფის დასახელება, რომელსაც მიეკუთვნება დაკვირვება.

**Coxs F-testF** ღილაკზე დაწკაპუნებით ეკრანზე გამოდის შედეგების ცხრილი,

Cox's F-Test (Heart)				
T1 = 10,52661 T2 = 10,47339				
F( 20, 20) = 1,005081 p = ,49553				
Distinct Failures	R(I)	M(I)	M/R	Kap/Meir Estimate
10,000	41,00000	1,000000	0,024390	1,000000
25,000	36,00000	1,000000	0,027778	0,975610
29,000	34,00000	1,000000	0,029412	0,948510
39,000	32,00000	1,000000	0,031250	0,920612
46,000	30,00000	1,000000	0,033333	0,891843
47,000	29,00000	1,000000	0,034483	0,862115
50,000	28,00000	1,000000	0,035714	0,832387
51,000	27,00000	2,000000	0,074074	0,802659
54,000	25,00000	1,000000	0,040000	0,743202
60,000	24,00000	1,000000	0,041667	0,713474
64,000	23,00000	1,000000	0,043478	0,683746
65,000	22,00000	1,000000	0,045455	0,654018
66,000	21,00000	1,000000	0,047619	0,624290
68,000	20,00000	1,000000	0,050000	0,594562
136,00	18,00000	1,000000	0,055556	0,564834
253,00	15,00000	1,000000	0,066667	0,533454
322,00	13,00000	1,000000	0,076923	0,497891
624,00	7,00000	1,000000	0,142857	0,459591
730,00	5,00000	1,000000	0,200000	0,393935
				0,315148

სადაც ნაჩვენებია კოქსის კრიტერიუმის მნიშვნელობა. გარდა ამისა, ცხრილი შეიცავს *Distinct Failures* – ყველა სხვადასხვა დროის მტყუნების სიას (პირველი სვეტი); ობიექტების რაოდენობა, რომლებიც საფრთხის ქვეშ იყვნენ შესაბამისი მტყუნების მომენტებში ( $R(I)$ ); მტყუნების ჯერადობა მტყუნების დადგომის ყოველ მომენტში ( $M(I)$ ) და კაპლან-მეიერის გადარჩენის ფუნქციის შეფასებები.

*Cox-Mantel test* ღილაკზე დაწკაპუნებით ეკრანზე გამოდის შედეგების ცხრილი

Cox-Mantel Test (Heart)	
I = 4,955305 U = -,137266	
Test statistic = -,061663 p = ,95083	
Risk	A(I)
20,00000	0,487805
20,00000	0,555556
18,00000	0,529412
16,00000	0,500000
15,00000	0,500000
14,00000	0,482759
13,00000	0,464286
13,00000	0,481482
12,00000	0,480000
12,00000	0,500000
12,00000	0,521739
11,00000	0,500000
10,00000	0,476191
10,00000	0,500000
9,000000	0,500000
7,000000	0,466667
7,000000	0,538462
4,000000	0,571429
3,000000	0,600000

სადაც გარდა კოქსი-მენტელის სტატისტიკისა წარმოდგენილია ყოველ მტყუნების მომენტში რისკების სია (ობიექტების რაოდენობა, რომლებიც მტყუნების მომენტის წინ იყვნენ ცოცხალნი, სვეტი 1) და მე-2 ჯგუფის ობიექტების წილი, რომლებიც მიეკუთვნებიან შესაბამისი რისკების სიმრავლეს (სვეტი 2).

*Peto & Petos Wilcoxon test* ღილაკზე დაწკაპუნებით ეკრანზე გამოდის შედეგების ცხრილი,

Survival Time	Peto & Peto Wilcoxon Test (Heart)	
	Group	Score
	WW = ,02884 Sum = 10,624 Var = 2,7179 Test statistic = ,0174959 p = ,98604	
0,0000+	ST_AND	0,000000
1,0000+	ST_AND	0,000000
3,0000+	HILLVIEW	0,000000
10,000	HILLVIEW	0,975610
12,000+	HILLVIEW	-0,024390
13,000+	HILLVIEW	-0,024390
15,000+	HILLVIEW	-0,024390
23,000+	HILLVIEW	-0,024390
25,000	ST_AND	0,924119
26,000+	ST_AND	-0,051491
29,000	ST_AND	0,869122
30,000+	ST_AND	-0,079388
39,000	HILLVIEW	0,812455
44,000+	ST_AND	-0,108157
46,000	ST_AND	0,753958
47,000	ST_AND	0,694502
50,000	HILLVIEW	0,635046
51,000	ST_AND	0,545861
51,000	HILLVIEW	0,545861
54,000	HILLVIEW	0,456677
60,000	HILLVIEW	0,397221

სადაც განზოგადოებული ვილკოქსონი – პეტოს კრიტერიუმების გარდა წარმოდგენილია ყველა დაკვირვების სია (ცხოვრების დრო; ცენზურირებული დაკვირვებები აღნიშნულია (+) ნიშნით, სტრიქონი 1) და კრიტერიუმის გამოყენების წვლილების მნიშვნელობები (*Score*).

**Log-rank test** დილაკზე დაწკაპუნებით ეკრანზე გამოდის შედეგების ცხრილი,

Log-Rank Test (Heart)		
WW = ,13727 Sum = 18,825 Var = 4,8158		
Test statistic = ,0625504 p = ,95012		
Survival Time	Group	Score
0,0000+	ST_AND	0,00000
1,0000+	ST_AND	0,00000
3,0000+	HILLVIEW	0,00000
10,000	HILLVIEW	0,97561
12,000+	HILLVIEW	-0,02439
13,000+	HILLVIEW	-0,02439
15,000+	HILLVIEW	-0,02439
23,000+	HILLVIEW	-0,02439
25,000	ST_AND	0,94783
26,000+	ST_AND	-0,05217
29,000	ST_AND	0,91842
30,000+	ST_AND	-0,08158
39,000	HILLVIEW	0,88717
44,000+	ST_AND	-0,11283
46,000	ST_AND	0,85384
47,000	ST_AND	0,81935
50,000	HILLVIEW	0,78364
51,000	ST_AND	0,70957
51,000	HILLVIEW	0,70957
54,000	HILLVIEW	0,66957
60,000	HILLVIEW	0,62790

სადაც სტატისტიკის კრიტერიუმის გარდა ცხრილი შეიცავს ყველა დაკვირვების სიას (ცხოვრების დრო; ცენზურირებული დაკვირვებები აღნიშნულია (+) ნიშნით, სტრიქონი 1); ჯგუფი, რომელსაც მიეკუთვნება თითოეული დაკვირვება (სვეტი 2); კრიტერიუმის გამოყენების წვლილების მნიშვნელობები (Score).


**Proportion Surviving by** დილაკზე დაწკაპუნებით ეკრანზე გამოდის შედეგების ცხრილი შესადარებელი მონაცემებით.

Life Table for Group 1 and Group 2 (Heart)										
Group 1: HILLVIEW Group 2: ST_AND										
Lower Limit	Group 1: No.Enter	Group 2: No.Enter	Group 1: No.Cnsrd	Group 2: No.Cnsrd	Group 1: No.Dying	Group 2: No.Dying	Group 1: % Srwng	Group 2: % Srwng	Group 1: Cum.% Sr	Group 2: Cum.% Sr
0,000000	22	22	5	6	8	8	58,9744	57,8947	100,0000	100,0000
197,2222	9	8	3	1	1	1	86,6667	86,6667	58,9744	57,8947
394,4445	5	6	2	2	0	0	100,0000	100,0000	51,1111	50,1754
591,6667	3	4	0	1	1	1	66,6667	71,4286	51,1111	50,1754
788,8889	2	2	0	1	0	0	100,0000	100,0000	34,0741	35,8396
986,1111	2	1	1	0	0	0	100,0000	100,0000	34,0741	35,8396
1183,333	1	1	0	0	0	0	100,0000	100,0000	34,0741	35,8396
1380,556	1	1	1	0	0	0	100,0000	100,0000	34,0741	35,8396
1577,778	0	1	0	0	0	0	0,0000	100,0000	34,0741	35,8396
1775,000	0	1	0	1	0	0	0,0000	100,0000	0,0000	35,8396

1 და 2 ჯგუფებისათვის მოცემულია ინტერვალის დასაწყისში დაკვირვებების რაოდენობა (No. Enter), ცენზურირებული რაოდენობა (No.Cnsrd), დაღუპულთა რაოდენობა (No.Dying), გადარჩენილთა პროცენტი (%Srwng), გადარჩენილთა კუმულატიური პროცენტი (Cum.%Sr).


ზემოთ განხილული ყველა 5 კრიტერიუმის  $p$  - მნიშვნელობით საშუალო გადარჩენის ტოლობის ჰიპოთეზა მიიღება ( $p > 0,05$ ). ე.ი. ყველა კრიტერიუმით გამოძინარეობს, რომ ამ ორ ჰოსპიტალს შორის გადარჩენილთა პაციენტების ხანგრძლივობები არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

შედეგების გრაფიკული გამოსახულებისათვის **Two-Sample Test Results** ფარჯარაში ჩაერთოდ **Function plots** ჩანართი და **Click Cum.prop.Surviving by group (Kaplan Meier)** (გადარჩენილთა კუმულატიური წილი) ღილაკზე. ეკრანზე გამოდის ორივე ჯგუფის გადარჩენის ფუნქციის კუმულატიური გრაფიკები.



გრაფიკზე სრული დაკვირვებები აღნიშნულია პატარა წრეებით, ხოლო ცენზურირებული – ჯვრებით. გრაფიკებიდან ჩანს, რომ ორივე ჯგუფისათვის გადარჩენის ფუნქციის კუმულატიური გრაფიკები უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

იმისათვის, რომ ავაგოთ გადარჩენილთა ფარდობითი სიხშირის გრაფიკები ამისათვის **Click Plot of proportion surviving for each group** (ყოველ ჯგუფში გადარჩენილთა წილის გრაფიკი) ღილაკზე.




ეკრანზე გამოსულ ფრაფიკულ გამოსახულებიდან ჩანს, რომ აქაც ოპერაციის დღიდან 1380 დღემდე მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეიმჩნევა. ამის შემდეგ გადარჩენილთა წილი Hillview ჰოსპიტალში მკვეთრად მცირდება 1-დან 0-მდე, ხოლო St-Andreas ჰოსპიტალში რჩება უცვლელი და იგი ერთის ტოლია.


## 2. მრავლობითი გადარჩენის ფუნქციების შედარება

**Heart** მონაცემთა ფაილის საშუალებით ჩავატაროთ სამი კლინიკის **Hillview, St\_Andrea., Biner** გადარჩენის ფუნქციების შედარება.


**Statistics** მენიუში მოვნიშნოთ **Advanced Linear/Nonlinear Modest** და შევარჩიოთ **Survival Analysis** ბრძანება. ეკრანზე გამოდის **Survival and Failure Time Analysis** სასტარტო ფანჯარა, სადაც **Click Comparing multiple samples** (რამოდენიმე ამონარჩევის შედარება)-ის სტრიქონზე და შემდეგ **OK**. ეკრანზე გამოდის **Comparing Survival in Multiple Groups** ფანჯარა




Click **Variables** ღილაკზე და ეკრანზე გამოსულ ფანჯარის პირველ სვეტში მოვნიშნოთ პირველი ექვსი ცვლადი, მეორე სვეტში მე-7 ცვლადი და მესამე სვეტში დამაჯგუფებელ ცვლადად შევარჩიოთ **Hospital**. შემდეგ **OK**.



ეკრანზე გამოდის **Comparing Survival in Multiple Groups** ფანჯარა,



სადაც ორჯერ *Click Code for complete responses, Code for censored responses* ველებში და შევარჩიოთ შესაბამისად *COMPLETE* და *CENSORED*. შემდეგ *OK*. გაიხსნება *Comparing Survival in Groups, Results* (ჯგუფების შედარების შედეგები)-ის ფანჯარა.




*Summary: Survival times & scores* (ხანგრ ძლივობის დროის და მათი წვლილის შედეგები)-ის დილაკით ეკრანზე გამოდის ყველა ხანგრძლივობა (ცენზურირებული დაკვირვებები აღნიშნულია (+) ნიშნით) და მათი შესაბამისი წვლილები, რომლებიც განისაზღვრებიან მენტელის პროცედურით და გამოიყენებიან მენტელის კრიტერიუმის სტატისტიკის გამოსათვლელად.



Survival Time		Group	Score
Variables: Survival times by HOSPITAL (3 groups) (Heart)			
Censoring var.: CENSORED (Censored cases are marked with +)			
Chi <sup>2</sup> = 5,73999 df = 3 p = ,05671			
0,0000+	ST_AND	0,0000	
1,0000+	ST_AND	0,0000	
1,0000+	BINER	0,0000	
3,0000+	HILLVIEW	0,0000	
10,000	HILLVIEW	-60,0000	
12,000+	HILLVIEW	1,0000	
13,000+	HILLVIEW	1,0000	
15,000+	HILLVIEW	1,0000	
23,000+	HILLVIEW	1,0000	
25,000	ST_AND	-54,0000	
26,000+	ST_AND	2,0000	
29,000	ST_AND	-51,0000	
30,000+	ST_AND	3,0000	
39,000	HILLVIEW	-48,0000	
44,000+	ST_AND	4,0000	
46,000	ST_AND	-45,0000	
47,000	ST_AND	-43,0000	
48,000+	BINER	6,0000	
50,000	HILLVIEW	-39,0000	

Click *Cumulative proportion surviving (Kaplan-Meier) by Group* (ჯგუფებში გადარჩენილთა ფარდობითი სისშირე)-ის ღილაკზე. ეკრანზე გამოდის სამივე ჯგუფის გადარჩენილთა კუმულატიური გრაფიკები. ამ გრაფიკებზე დასრულებული დაკვირვებები აღნიშნულია წრეთი, ხოლო ცენზურირებული დაკვირვებები ჯვრით.




*Click Scores for each group* (ჯგუფების ფარდობითი სიხშირე)-ის ღილაკზე. ეკრანზე გამოდის ცხრილი,


Summary statistics for each group (Heart)							
Group	Code for Group	Sum of Scores	N.uncsrd	Percent uncensrd	N.censrd	Percent censored	Total N
HILLVIEW	1	-116,000	10	45,45454	12	54,54546	22
ST_AND	2	-115,000	10	45,45454	12	54,54546	22
BINER	3	231,000	9	42,85714	12	57,14286	21

სადაც წარმოდგენილია თითოეული ჯგუფის ჯამური ფარდობითი სიხშირე, რომელებიც მიღებულია, მენტელის პროცედურით და გამოიყენებიან მენტელის კრიტერიუმის სტატისტიკის გამოსათვლელად. გარდა ამისა, ეკრანზე გამოდის თითოეული ჯგუფის დასრულებული და ცენზურირებული დაკვირვებების ჯამის რაოდენობა და პროცენტი.

**Prop. surviving by group** (ჯგუფებში გადარჩენილთა ფარდობითი სიხშირეთა გრაფიკები) ღილაკით ეკრანზე გამოდის სამივე ჯგუფის გადარჩენილთა ფარდობითი სიხშირის გრაფიკები.



**Sum scores by group** (ჯგუფებში გადარჩენილთა ფარდობითი სიხშირის ჰისტოგრამა) ღილაკით ეკრანზე გამოდის მენტელის პროცედურით გამოთვლილი ჯგუფების ფარდობითი სიხშირეების ჯამის ჰისტოგრამა.



**Click Percent surviving by group** (ჯგუფებში გადარჩენილთა ფარდობითი სიხშირე) ღილაკზე. ეკრანზე გამოდის სამივე ჯგუფის ხანგრძლივობა პროცენტებში.

Life Table for Group 3 (Heart)					
Group: BINER					
Lower Limit	No. Enter	No. Cnsrd	No. Dying	% Survng	Cum. % Sr
0,000000	21	4	3	84,2105	100,0000
197,2222	14	1	2	85,1852	84,2105
394,4445	11	1	0	100,0000	71,7349
591,6667	10	1	0	100,0000	71,7349
788,8889	9	2	1	87,5000	71,7349
986,1111	6	0	2	66,6667	62,7680
1183,333	4	2	1	66,6667	41,8454
1380,556	1	1	0	100,0000	27,8969
1577,778	0	0	0	0,0000	27,8969
1775,000	0	0	0	0,0000	0,0000

**Summary: Survival times & scores** შედეგების ფანჯრის ინფორმაციულ ნაწილში მოცემულია ხი-კვადრატ და *p* კრიტერიუმების მნიშვნელობები ( $Chi^2=5,73999$ ,  $p=0,05671$ ). რადგან *p*-მნიშვნელობა უმნიშვნელოდ მეტია 0,05 სიდიდეზე, ამიტომ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ გულის გადანერგვის ოპერაციების შედეგები სამივე ჰოსპიტალში, პაციენტის გადარჩენის თვალსაზრისიდან გამომდინარე, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მიღებული ცხრილები და გრაფიკები გვიჩვენებენ, რომ პაციენტების ხანგრძლივობა **Hillview** და **St Andrea** კლინიკებში დაახლოებით თანაბარია, მაგრამ ისინი განსხვავდებიან **Biner** კლინიკის გადარჩენისაგან. ამასთან, როგორც გადარჩენილთა ფარდობითი სიხშირის გრაფიკებიდან ჩანს **Biner** კლინიკის გადარჩენილთა კუმულატიური ფუნქცია საწყის პერიოდში უფრო ნაკლებად კლებულობს დანარჩენ ორ კლინიკასთან შედარებით, ხოლო შემდეგ დროის გრძელ პერიოდში გადარჩენის ფუნქციის მნიშვნელობა

აღმატება *Hillview* და *St\_Andrea* კლინიკების გადარჩენის ფუნქციებთან შედარებით. პირველი 787 დღის განმავლობაში გადარჩენილთა ფარდობითი სისშირის მნიშვნელობა *Biner* კლინიკაში გაცილებით მაღალია *Hillview* და *St\_Andrea* კლინიკებთან შედარებით.


ამრიგად, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ რაღაც მიზეზების გამო *Biner* კლინიკის პაციენტებს გააჩნიათ გადარჩენის უფრო დიდი შანსი არა მარტო გულის ტრანსპლანტაციის პირველ კრიტიკულ დღეებში, არამედ შემდგომ პერიოდშიც.

## პრაქტიკული სამუშაო 12


### გადარჩენის ანალიზი. რეგრესიული მოდელები

#### 1. კოქსის პროპორციული ინტენსიურობის მოდელი


რეგრესიული ანალიზისათვის გამოვიყენოთ იგივე *Heart* მონაცემთა ფაილი. *Survival Analysis* (გადარჩენის ანალიზი) მოდულის გაშვებისათვის *Statistics* მენიუში მოვნიშნოთ *Advanced Linear/Nonlinear Modest* და შევარჩიოთ *Survival Analysis* ბრძანება. ეკრანზე გამოდის *Survival and Failure Time Analysis* სასტარტო ფანჯარა,




Click *Regression Models* ღილაკზე. ეკრანზე გამოდის ამავე დასახელების ფანჯარა




ცვლადების შესარჩევად *click Variables* ღილაკზე და ეკრანზე გამოსულ ფანჯარის პირველ ველში მოვნიშნოთ პირველი 6 ცვლადი, მეორე ველში – **AGE**, **ANTIGEN**, **MISMATCH** დამოუკიდებელი ცვლადები (კოვარიანტები) და ბოლოს მესამე ველში – **CENSORED** ცვლადი.



შემდეგ *OK*. ვბრუნდებით წინა ფანჯარაში და ორჯერ *click Code for complete responses*, *Code for censored responses* ველებში და შევარჩიოთ შესაბამისად **COMPLETE** და **CENSORED**.



შემდეგ *OK*. პროგრამა გაუშვებს პარამეტრების შეფასების იტერაციულ ციკლს, რომლის დამთავრების შემდეგ ეკრანზე გამოდის **Regression Results** ფანჯარა



ჩაერთოდ **Advanced** ჩანართი და პარამეტრების შეფასებისათვის *click Summary: Parameter estimates* ღილაკზე. ეკრანზე გამოდის ცხრილი,

Dependent Variable: Survival times in days (Heart)						
Censoring var.: CENSORED						
Chi <sup>2</sup> = 22,3193 df = 3 p = ,00006						
N=65	Beta	Standard Error	t-value	exponent beta	Wald Statist.	p
AGE	0,109096	0,033293	3,276836	1,115269	10,73766	0,001051
ANTIGEN	-0,048782	0,471644	-0,103431	0,952388	0,01070	0,917622
MISMATCH	1,063761	0,394599	2,695804	2,897246	7,26736	0,007026

სადაც ფანჯრის ინფორმაციული ნაწილიდან ჩანს, რომ ხი-კვადრატ სტატისტიკა სარწმუნოა ( $p \gg 0,05$ ), ამიტომ შეგვიძლია გავაკეთოდ დასკვნა იმაზე, რომ ზოგიერთი ცვლადი დაკავშირებულია ხანგრძლივობასთან. ცხრილის პირველ სვეტში (**Beta**) მოცემულია პარამეტრების შეფასებები

ე.ყუბანეიშვილი. მონაცემების სტატისტიკური დამუშავება

(რეგრესიის განტოლებაში შესაბამისი ცვლადების კოეფიციენტები), მეორე სვეტში (*Standard Error*) – სტანდარტული შეცდომები, მესამე სვეტში –  $t$ -კრიტერიუმის მნიშვნელობები, რომლებიც ტოლია პირველი და მეორე სვეტების მონაცემების ფარდობისა. მე-5 და მე-6 სვეტებში მოყვანილია ვალდის (*Wald Ststist.*) სტატისტიკები და  $p$  მნიშვნელობები. ჩვეულებრივ პრაქტიკაში სტატისტიკურად სარწმუნოდ ითვლება (როცა  $p < 0,05$ ) ისეთი პარამეტრების შეფასებები, რომლებიც ორჯერ აღემატება ამ პარამეტრის ცდომილებას ( $t > 2$ ).

ცხრილის მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ ასაკი (*AGE*) და ქსოვილების შეუთავსებლობა (*MISMATCH*) წარმოადგენენ მნიშვნელოვან (სარწმუნო) ინტენსივობის (რისკის) ფუნქციის პრედიქტორებს. თანაც ქსოვილების შეუთავსებლობა რისკის უფრო მნიშვნელოვანი პრედიქტორია, ვიდრე ასაკი (*MISMATCH*-ის კოეფიციენტები 10-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე *AGE*-ის კოეფიციენტები), ხოლო *ANTIGEN* ცვლადის კოეფიციენტი კოქსის რეგრესიულ მოდელში შეიძლება ჩაითვალოს ნულის ტოლად, რადგან მისი შესაბამისი  $t$ -კრიტერიუმის მნიშვნელობა მნიშვნელოვნად მცირეა 2-ზე და  $p > 0,05$ .

დავბრუნდეთ რეგრესიის შედეგების ფანჯარაში და *Click Parameter covariances & correlations* ღილაკზე. ეკრანზე გამოდის პარამეტრების კორელაციური მატრიცა:


Variable	Parameter Correlations (Heart)		
	AGE	ANTIGEN	MISMATCH
AGE	1,000000	-0,043937	0,040090
ANTIGEN	-0,043937	1,000000	-0,425334
MISMATCH	0,040090	-0,425334	1,000000

*Click Means & standard deviations* ღილაკზე. ეკრანზე გამოდის შედეგების ცხრილი,

variable	Means and Standard Deviations (Heart)			
	mean	st. dev.	minimum	maximum
AGE	45,6769	9,1858	19,00000	64,000
ANTIGEN	0,2615	0,4429	0,00000	1,000
MISMATCH	1,1646	0,6233	0,00000	3,050
No.days	382,6769	463,2327	0,00000	1775,000


სადაც წარმოდგენილია დამოუკიდებელი (კოვარიანტების) საშუალო და სტანდარტული გადახრების შეფასებები.

გადარჩენის გრაფიკების ასაგებად ჩავრთოდ *Functions plots* ჩანართი და *click Graph survival function for means* ღილაკზე. პროგრამას ეკრანზე გამოაქვს *AGE*, *ANTIGEN*, *MISMATCH* ცვლადების საშუალო მნიშვნელობების გადარჩენის გრაფიკი.



პროგრამაში გათვალისწინებულია გადარჩენის ფუნქციის აგება, როცა კოვარიანტების მნიშვნელობებს მომხმარებელი თვითონ ადგენს. ამისათვის, *click Graph survival function for spec. vals.* ლილაკზე. ეკრანზე გაიხსნება *Independent Variable Values* ფანჯარა

სადაც გაჩუმების პრინციპით წარმოდგენილია ცვლადების საშუალო მნიშვნელობები. გაუზარლოთ *AGE* არეში ასაკი მაგალითად, 65 წლამდე და შემდეგ *OK*. ეკრანზე გამოდის გადარჩენის ფუნქცია,






სადაც თვალნათლივ ჩანს, რომ გადარჩენის ფუნქცია მნიშვნელოვნად შემცირდა. ალბათობა იმისა, რომ პაციენტი იცოცხლებს ოპერაციიდან 50 დღეზე მეტად ტოლია 0,13, ხოლო გადარჩენის ალბათობა 800 დღის შემდეგ ნულის ტოლია, მაშინ როცა 45 წლის პაციენტისათვის ეს ალბათობა 0,5 ტოლია.

## 2. ექსპონენციალური რეგრესია

**Regression Models for Censored Data** ფანჯრის **Model** ველში დავაყენოთ **Exponential regression**. სხვა დაყენებული პარამეტრები დავტოვოთ უცვლელად. შემდეგ **OK**. ეკრანზე გამოდის **Regression Results** ფანჯარა



პარამეტრების შეფასების ცხრილის გამოსატანად *click Summary: Parameter estimates* ღილაკზე

Dependent Variable: Survival times in days (Heart)				
Censoring var.: CENSORED				
Chi <sup>2</sup> = 32,0812 df = 3 p = ,00000				
	Beta	Standard Error	t-value	
N=65				
AGE	-0,12418	0,032857	-3,77938	
ANTIGEN	-0,06363	0,459082	-0,13861	
MISMATCH	-1,22008	0,365911	-3,33436	
Constant	14,08542	1,686244	8,35313	

სადაც ჩანს, რომ **Exponential regression** მოდელი უფრო ადეკვატურია ვიდრე კოქსის მოდელი, რადგან მისი ხი-კვადრატის მნიშვნელობა გაცილებით მეტია ( $32,0812 > 22,0812$ ), ხოლო  $p$  მნიშვნელობა ნაკლებია. გარდა ამისა, აქაც ცხადად ჩანს, რომ ქსოვილების შეუთავსებლობა წარმოადგენს მნიშვნელოვან პრედიქტორს, ვიდრე ასაკი, ხოლო **ANTIGEN** ცვლადის კოეფიციენტი აქაც შეიძლება ჩაითვალოს ნულის ტოლად.

### პრაქტიკული სამუშაო 13

#### დროითი მწკრივების ანალიზი და პრობნოზირება


ჩვენ ვიყენებთ *Statistica*-ის *Exampfes* ბიბლიოთეკის *Dataset* მონაცემთა ბაზაში არსებული *Series.G* ფაილი, სადაც წარმოდგენილია თვეების მიხედვით ავიაგადაზიდვის მონაცემები 1949–1960წწ (სულ 144 დაკვირვება).

Monthly passenger totals (in 1000's) 1949-1960; Box & Jenkins, 1976; series G.	
1	SERIES_G
JAN 1949	112
FEB 1949	118
MAR 1949	132
APR 1949	129
MAY 1949	121
JUN 1949	135
JUL 1949	148
AUG 1949	148
SEP 1949	136
OCT 1949	119
NOV 1949	104
DEC 1949	118
JAN 1950	115
FEB 1950	126
MAR 1950	141
APR 1950	135
MAY 1950	125
JUN 1950	149
JUL 1950	170
AUG 1950	170
SEP 1950	158

#### დროითი მწკრივის ანალიზის მოდულის აღწერა

*Statistica* მენიუში მოვნიშნოთ *Advanced Linear/Nonlinear Models* და *Click Time Series/Forecasting* ბრძანებაზე,

ეკრანზე გამოდის *Time Series Analysis* (დროითი მწკრივების ანალიზი)-ის სასტარტო ფანჯარა.



click **Variables** ღიაკზე და თუ მონიშნული არ არის მოვნიშნოთ დროითი მწკრივი. შემდეგ **OK**. გბრუნდებით სასტატო ფანჯარაში.

– ფანჯრის საინფორმაციო ველში **Variables** ველში ნაჩვენებია ფაილის დასახელება, ხოლო **Lock** გრაფაში ნაჩვენებია **L** ნიშანი, რაც იმას ნიშნავს, რომ ცვლადები (ფაილები) დაკეტილია გასაღებით და მათი გამორიცხვა ანალიზიდან შეუძლებელია. **Long variable (series) name** ველში ნაჩვენებია ფაილის გაფართოებული სახელი.

მუშაობის პროცესში ხშირად საჭიროა სასურველი გარდაქმნების შერჩევა და იმისათვის, რომ არ შევინახოთ ზედმეტი ინფორმაცია, საჭიროა მისი წაშლა. ამისათვის გამოიყენება **Delete highlighted variable** (გამონათებული ცვლადების წაშლა) ღილაკი. თუ შემდგომი კვლევებისათვის საჭიროა ზოგიერთი გარდაქმნის შენახვა (მაგ. **Statistica**-ის სხვა მოდულისათვის) ამისათვის გამოიყენება **Save variables** (ცვლადების შენახვა)-ის ღილაკი.

**Number of backups per variable** (ცვლადების სარეზერვო რაოდენობა) ველში მითითებულია გარდაქმნის რაოდენობა. თუ გარდაქმნის რაოდენობა აღემატება ველში წარმოდგენილ რიცხვს, მაშინ პროგრამა შეგვეკითხება შევინახოთ თუ არა აღნიშნული გარდაქმნა.

**Select cases** (დაკვირვებების შერჩევა) ღილაკი გამოიყენება ანალიზისათვის დაკვირვებების შესარჩევად.


ღილაკი **OK (transformations, autocorrelations, plots)** (გარდაქმნა, ავტოკორელაცია, გრაფიკები) დროითი მწკრივის გარდაქმნისათვის გახსნის სპეციალურ ფანჯარას.

სასტატო ფანჯრის **Quick** ჩანართში განლაგებულია შემდეგი ფუნქციონალური ღილაკები:

- **ARIMA & autocorrelation functions** (ავტორეგრესიის და მცოცავი საშუალოს გაინტეგრირებელი მოდელი);
- **Interrupted time series analysis** (შეწყვეტილი დროითი მწკრივების ანალიზი ან **ARIMA** მოდელი ინტერვეციით);

- **Exponential smoothing & forecasting** (ექსპონენციალური გაგლუვება და პროგნოზირება);
- **Seasonal decomposition (Census 1)** (სეზონური დეკომპოზიცია);
- **XIIy2k (Census 2)-monthly** (12 თვიანი სეზონური დეკომპოზიცია);
- **Quarterly** (კვადტალური სეზონური კორექტირება);
- **Distributed Lags Analysis** (ლაგების (ძვრა) განაწილების ანალიზი);
- **Spectral (fourier) Analysis** (ფურიეს სპექტრული ანალიზი).

**Missing data** ჩანართში წარმოდგენილია გამოტოვებული მონაცემების შევსების სხვადასხვა საშუალებები:




- **Overall mean** (საერთო საშუალო);
- **Interpolation from adjacent points** (მეზობელი წერტილებით ინტერპოლაცია);
- **Mean of N adjacent points** (მეზობელი წერტილების საშუალო);
- **Median of N adjacent points** (მეზობელი წერტილების მედიანა);
- **Predicted values from linear trend regression** (წრფივი ტენდენციის რეგრესიის საშუალებით მონაცემების პროგნოზირება).


## 1. პროგნოზირების ARIMA მოდელი

**ARIMA** წარმოადგენს პარამეტრულ მეთოდს, რომელიც გამოიყენება როგორც სტაციონარული, ისე არასტაციონარული მწკრივებისათვის. ამიტომაც, რომ ამ მეთოდს გააჩნია დიდი პრაქტიკული გამოყენება. **Statistica** პროგრამაში **ARIMA** რეალიზირებულია ბოკსი და ჯენკინსის მეთოდოლოგიით. მოდელს შეუძლია ჩართოს მუდმივი სიდიდე.

**ARIMA** მოდელის გააქტიურებისათვის სასტარტო ფანჯარაში *click ARIMA & autocorrelation functions* ლილაკზე. ეკრანზე გაიხსნება *Single Series ARIMA* სასტარტო ფანჯარა.



საზოგადოდ, დროითი მწკრივის ანალიზი იწყება მისი გრაფიკული წარმოდგენით. ამისათვის ჩაერთოთ *Review Series* (მწკრივის დათვალიერება)-ს ჩანართი.



ე.ყუბანეიშვილი. მონაცემების სტატისტიკური დამუშავება

ფანჯრის ზედა ინფორმაციულ ველში ჩაწერილია მწკრივის სახელი და მისი გარდაქმნა. ფანჯრის **Review and plotvariables** (ცვლილების დათვალიერება და გრაფიკების აგება)-ის ჩარჩოში განთავსებულია შემდეგი ღილაკები და ოპციები:

- **Review highlighted variable** (გამონათებული ცვლადების დათვალიერება);
- **Review multiple variables** (რამოდენიმე ცვლადის დათვალიერება);
- **Plot** – გრაფიკი;
- **Plot two var list with different scales** (სხვადასხვა სკალის ორი სიიდან ცვლადების გრაფიკები);
- **Display/plot subset of cases only** (მხოლოდ ქვესიმრავლის ეკრანზე ჩვენება/გრაფიკის აგება)


ფანჯრის მარჯვენა მხარეს **Label data points with** (მონაცემთა წერტილების ნიშანი) ჩარჩოში განთავსებულია შემდეგი ოპციები:

- **Case names** (დაკვირვების სახელი)
- **Case numbers** (დაკვირვების ნომერი)
- **Dates from a var** (იმ ცვლადის მნიშვნელობა, რომლის სახელი ნაჩვენებია **Variable** ღილაკის საშუალებით)

და სხვადასხვა ტიპის ალბათური გრაფიკების აგების ღილაკები.

გრაფიკების აგებისას საჭიროა **Scale X axis in plots manual** ოპციის ჩართვა და **Min** = ველში მიუთითოთ მწკრივის ის ნომერი საიდან იწყება გრაფიკის აგება, **Step** = ველში უნდა მიუთითოთ X დერძისათვის ბიჯის სიდიდე.


**Label data points with** ჩარჩოში ჩაერთოთ **Case names** ან **Case number** ოპცია. შემდეგ **click Plot** ღილაკზე. რომელიც მდებარეობს **Review highlighted variable** ღილაკის გვერდით. ეკრანზე გამოდის საწყისი მონაცემების გრაფიკი:



“ხარისხიანი” პროგნოზირებისათვის მწკრივი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს. ასე მაგალითად, ის უნდა იყოს შედარებადი და ერთგვაროვანი, გარდა ამისა ტრენდის გამოსავლენად იგი უნდა იყოს მდგრადი და სრული ანუ დაკვირვებათა რაოდენობა უნდა იყოს საკმარისად დიდი.

მონაცემების ერთგვაროვნება გულისხმობს მწკრივის განვითარების ტენდენციაში მკვეთრი ცვლილებების და აგრეთვე არატიპიური და ანომალური დაკვირვებების გამორიცხვას.

დავუბრუნდეთ **Single Series ARIMA** სასტარტო ფანჯარას და ჩავრთოთ **Advanced** ჩანართი, სადაც **ARIMA model parameters** ჩარჩოში მოთავსებულია შემდეგი ოპციები:



- **p-Autoregressive** (ავტორეგრესიის პარამეტრი (რეგულარული));
- **P-Seasonal** (ავტორეგრესიის სეზონური პარამეტრი);
- **q -Moving aver** (მცოცავი საშუალოს პარამეტრი (რეგულარული));
- **Q-Seasonal** (მცოცავი საშუალოს სეზონური პარამეტრი)

ყოველი ამ პარამეტრისათვის მოიცემა პარამეტრების რიცხვი. უკიდურეს შემთხვევაში რომელიმე ერთი პარამეტრი განსაზღვრული უნდა იყოს. ოპციებში მითითებული პარამეტრები ნიშნავს იდენტიფიკაციას ანუ მოდელის განსაზღვრას.

**Transform variable prior to analysis** (ანალიზამდე ცვლადების გარდაქმნა) ჩარჩოში წარმოდგენილია შემდეგი ოპციები:

- **Natural log** (ნატურალური გალოგარითმება);
- **Diference** (გამოკლება);
- **Power transform** (ხარისხში აყვანა).

ამ ფანჯრიდან გამოსვლის შემდეგ აღნიშნული გარდაქმნები არ შეინახება.


**Estimation method** (შეფასების მეთოდი) ჩარჩოში წარმოდგენილია შეფასების ორი გამოთვლითი მეთოდი: **Approximate** (აპროქსიმაცია) და **Exact** (ზუსტი).

**Estimation options** (შეფასების პარამეტრები) ჩარჩოში მოიცემა უცნობი პარამეტრების საწყისი მიახლოება; მიეთითება იტერაციის მაქსიმალური

რაოდენობა და დაყენება შეფასების პროცედურის კრებადობის კრიტერიუმის პარამეტრი. ყველა ეს მნიშვნელობები შესაძლებელია მოგვცეს სისტემამ.

ფანჯრის ზედა მარჯვენა მხარეს არსებული **OK(Begin parameter estimation)** (პარამეტრების შეფასების დაწყება) ღილაკით იწყება პარამეტრების შეფასების პროცედურა.

**Other transformations & plots** (სხვა გარდაქმნები და გრაფიკები) ღილაკით გაიხსნება **Transformations of Variables** (ცვლადების გარდაქმნა) ფანჯარა რომლის საშუალებითაც ხდება გარდაქმნის შედეგების დამახსოვრება.



ეკრანზე გამოსულ ამ ფანჯრის  $x = f(x)$  ჩანართში წარმოდგენილია შემდეგი გარდაქმნები:

- **Add a constant** ( $x = x+c$ ) (მწკრივის მნიშვნელობებს დაემატოთ მუდმივა);
- **Power** ( $x = x**c$ ) (ხარისხში აყვანა);
- **Inverse power** ( $x = x**1/c$ ) (შებრუნებულ ხარისხში აყვანა);
- **Natural log** [ $x = \ln(x)$ ] (ნატურალური ლოგარითმის აღება);
- **Exponent** [ $x = \exp(x)$ ] (ექსპონენციალური გარდაქმნა);

ამ ფანჯარაში არის შემდეგი ოპციები:

- **Mean subtract** [ $x = x - M$ ] (საშუალოს გამოკლება);
- **Standardize** [ $x = (x - M) / SD$ ] (სტანდარტიზირება). მწკრივის მნიშვნელობებს აკლდება საშუალო და იყოფა სტანდარტულ  $SD$  გადახრაზე.
- **Trend subtract**  $t$  (ტრენდის გამორიცხვა). მწკრივიდან გამოირიცხება წრფივი ტრენდი, რომლის პარამეტრები ან შეფასდებიან ან მოიცემა  $a, b$  ზოლში;



- **Autocorr** [ $x = x - (a + b * x(lag))$ ] (ავტოკორელაცია). ეს არის წრფივი გარდაქმნა, რომელიც საშუალებას იძლევა გავანულოთ ავტოკორელაცია გარკვეულ ლაგზე, რომელიც მოცემულია *lag* ველში

**Smoothing** (გაგლუვება) ჩანართში შესაძლებელია მწკრივის შემდეგი გარდაქმნები.

- **N-pts mov. averg.** (*N* წერტილიანი სრიალა საშუალო);
- **N-pts mov. median** (*N* წერტილიანი სრიალა მედიანა);
- **Weighted** (გასაშუალება არათანაბარი წონებით);
- **Drior** (გამოთვლები წარმოებს მწკრივის წინა მნიშვნელობებით);
- **Simple exponential** (მარტივი ექსპონენციალური გაგლუვება);
- **4253H filter**

$x=f(x,y)$  ჩანართში შესაძლებელია მწკრივის შემდეგი გარდაქმნები:

- **Difference** (სხვაობა). გამოითვლება მწკრივის ახალი მნიშვნელობები შემდეგი ფორმულით  $x = x - y(lag)$ , სადაც *lag* (დაყოვნება) მოიცემა *lag* ველში.
- **Residualizing**. გამოითვლება მწკრივის ახალი მნიშვნელობები შემდეგი ფორმულით:  $x = x - (a + by(lag))$ , სადაც *a* და *b* პარამეტრები წინასწარ მოცემულია ან განისაზღვრება უმცირეს კვადრატთა მეთოდით. ბოლო შემთხვევისას საჭიროა ჩავრთოთ **Estimate a and b from data** (*a* და *b* პარამეტრების შეფასება) ოპცია.

ამ ჩანართის ოპციები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა ორი დროითი მწკრივის ანალიზია საჭირო.


**Shift** (ძვრა) ჩანართს გააჩნია შემდეგი ოპციები:

- **Shift (lag) series forward** (დაყოვნების დაძვრა წინ);
- **Shift (lag) series back** (დაყოვნების დაძვრა უკან).

**Difference, integrate** (გამოკლება, მიმატება). ჩანართით განისაზღვრება ახალი მწკრივის მნიშვნელობები ფორმულით:  $x = x - x(log)$  ან  $x = x + x(log)$ .

დანარჩენი ჩანართებით ხდება სხვადასხვა გრაფიკების აგება, ავტოკორელაციის გამოთვლა და გარდაქმნილი მწკრივის აღწერითი სტატისტიკების განსაზღვრა.

გასაანალიზირებელი მწკრივის დისპერსიის შესამცირებლად გამოიყენება  $x = f(x)$  ჩანართის **Natural log** ოპცია. **click OK (Transform selected series)** ღილაკზე. ეკრანზე გამოდის საწყისი მწკრივის გალოგარითმებული მნიშვნელობები, რომლის დისპერსია გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საწყისი მწკრივისა.



ამის შემდეგ საჭიროა **ARIMA** მოდელის პარამეტრების იდენტიფიკაცია. **ARIMA** მოდელს გააჩნია შემდეგი პარამეტრები:  $p$ -ავტორეგრესიის რიგი,  $d$ -სხვაობის რიგი,  $q$ -სრიალა საშუალოს რიგი. ე.ი **ARIMA** ( $p, d, q$ ) მოდელის იდენტიფიცირება ნიშნავს განისაზღვროს ეს სამი პარამეტრი.


იდენტიფიკაცია საკმაოდ უხეში პროცედურაა, რომლის საშუალებითაც მიიღება მოდელის რიგის მიახლოებითი მნიშვნელობა. იდენტიფიკაციის ძირითად კრიტერიუმად მიიღება მწკრივის ავტოკორელაციური და კერძო ავტოკორელაციური ფუნქციების ქცევა. სინამდვილეში ეს ფუნქციები უცნობია და ამიტომ ჩვენ საქმე გვაქვს ამ ფუნქციების შეფასებებთან, რომლებსაც შერჩევითი ფუნქციები ეწოდებათ.

კერძო ავტოკორელაციური ფუნქცია წარმოადგენს ჩვეულებრივი ავტოკორელაციური ფუნქციის სიღრმისეულ ცოდნას. მოცემული ლაგის (ძვრის) კერძო ავტოკორელაციური ფუნქცია ანალოგიურია ჩვეულებრივი ავტოკორელაციური ფუნქციისა, იმ განსხვავებით, რომ მისი გამოთვლისას გამოირიცხება მცირე ძვრების ავტოკორელაციური ფუნქციის ზეგავლენა. როცა ძვრა 1-ის ტოლია, მაშინ კერძო ავტოკორელაციური ფუნქცია ჩვეულებრივი ავტოკორელაციური ფუნქციის ტოლია.


დავუშვათ  $d$  მოდელის უცნობი რიგია, რომლის შეფასებაც გვინდა. დასაწყისში ხდება დროითი მწკრივის ვიზუალიზაცია და ვადგენთ, მწკრივი სტაციონარულია თუ არა. მწკრივის არასტაციონარობა ხშირად ადვილად ჩანს მწკრივის გრაფიკულ გამოსახულებაზე, მაგალითად, თუ მწკრივს გააჩნია ცხადად გამოკვეთილი ტრენდი. განსაკუთრებით ადვილია ვიზუალურად განისაზღვროს მონოტონური ტრენდი: ლოგარითმული, ექსპონენციალური, წრფივი, პარაბოლა და სხვ. (ჩვენი მაგალითის შემთხვევები **Series G** მწკრივს გააჩნია ზრდის ცხადი ტენდენცია. ე.ი მონოტონური ტრენდი). ამრიგად, თუ მწკრივს გააჩნია ცხადად შესამჩნევი ტრენდი, მაშინ ასეთი მწკრივი არასტაციონარულია. თუ ტრენდი ცხადად არ ჩანს და არ გაგვაჩნია რაიმე მოსაზრება, რომელიც მიუთითებს დროითი მწკრივის არასტაციონარობაზე, მაშინ უნდა განვიხილოთ ავტოკორელაციური ფუნქცია, კერძოდ შერჩევითი ავტოკორელაციური ფუნქცია.

თუ ავტოკორელაციურ ფუნქციას არ გაჩნია რხევის მიღევის (ჩაქრობის) ტენდენცია, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მწკრივი არასტაციონარულია.

ამრიგად, არასტაციონარობის კრიტერიუმი გამოიხატება შერჩევითი ავტოკორელაციური ფუნქციის რხევის მიღების ტენდენციაში. ამისათვის **Autocorr** ჩანართში **Number of lag** ოპციის საშუალებით, სადაც ლაგების რიცხვი უნდა გაიზარდოს 30-მდე, **click Autocorrelations** ღილაკზე.



ეკრანზე გამოდის ავტოკორელაციური ფუნქციის გრაფიკი, სადაც ნათლად ჩანს, რომ ავტოკორელაციურ ფუნქციას გააჩნია რხევის სუსტი არამონოტონური მიღევის ტენდენცია.




ამრიგად, ავტოკორელაციური ფუნქციის დათვალიერების შედეგად მივიღივართ დასკვნამდე: მწკრივი სტაციონარულია ან არასტაციონალურია.

როცა მწკრივი სტაციონარულია, მაშინ  $d = 0$  და გადავდივართ სხვა  $p$  და  $q$  პარამეტრების განსაზღვრაზე.


თუ მწკრივი არასტაციონარულია, მაშინ უნდა განვიხილოთ მოცემული მწკრივის პირველი რიგის სხვაობა. თუ აღმოჩნდება, რომ პირველი რიგის სხვაობის მწკრივი არასტაციონარულია, მაშინ კვლავ იღებენ პირველი რიგის სხვაობას და ხდება მწკრივის სტაციონარობის შემოწმება, რადგან პირველი რიგის სხვაობა გამოიყენება ორჯერ, ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული მწკრივის მიმართ გამოყენებულია მეორე რიგის სხვაობითი ოპერატორი. პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება ორზე მეტი სხვაობითი პროცედურა. ე-ი პროცედურა მთავრდება  $k$ -ურ ბიჯზე, თუ გარდაქმნილი მწკრივი სტაციონარული გახდა, მაშინ  $d = k$ . (**Series G** მწკრივისათვის ავიღოთ  $k = 1$  ე-ი  $d = 1$ ).

**Differencing, Integral** ჩანართის **Differencing** ( $x=x-x(\text{lag})$ ) ოპციაში მიუთითოთ  $\text{lag} = 1$  და შემდეგ **click OK (Transform selected series)** ღილაკზე.




ეკრანზე გამოსულ გრაფიკზე ჩანს, რომ მწკრივი გახდა სტაციონარული, რადგან ტრენდი არ შეიმჩნევა.

ავტოკორელაციური ფუნქციის განსაზღვრისათვის **Autocorre** ჩანართში **click Autocorrelations** ღილაკზე. ეკრანზე გამოდის ავტოკორელაციური ფუნქციის გრაფიკი



რაც შეეხება ავტოკორელაციურ ფუნქციას, მას გააჩნია  $lag = 1$ -ზე უმნიშვნელო ამოგდება და ჩაქრობის სუსტი ტენდენცია, თუ არ ჩავთვლით იმ პიკებს, რომლებიც წარმოქმნილია 12 თვიანი სეზონური ციკლით. კერძო ავტოკორელაციის ფუნქციის ეკრანზე გამოსატანად, **click Partial autocorrelations** ღილაკზე:



როგორც გრაფიკიდან ჩანს კერძო ავტოკორელაციის ფუნქციის ცვალებადობა ექსპონენციალურად უახლოვდება ნულს. ამრიგად, ორმაგი გარდაქმნის შედეგად მივიღეთ სტაციონარული მწკრივი.

$p$  და  $q$  პარამეტრების შერჩევისათვის განიხილება შერჩევითი ავტოკორელაციური და კერძო კორელაციური ფუნქციების ქცევა.

დავუშვათ გვაქვს  $p$  რიგის ავტორეგრესიის მოდელი. მაშინ ამ პროცესის კერძო ავტოკორელაციური ფუნქცია წყდება  $p$  ლაგზე, ხოლო

ავტოკორელაციური ფუნქცია მდორედ მცირდება. დავუშვათ გვაქვს  $p$  რიგის მცოცავის საშუალო პროცესი, მაშინ კერძო ავტოკორელაციური ფუნქცია მდორე ტენდენციით მცირდება, ხოლო ავტოკორელაციური ფუნქცია  $p$  ლაგზე წყდება. თუ მოდელის ორივე პარამეტრი ნულისაგან განსხვავებულნი არიან, მაშინ ავტოკორელაციური ფუნქცია წარმოდგენილია როგორც ექსპონენტის და მილევადი სინუსოიდის ჯამი.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დროითი მწკრივების უმეტესობა, რომელებიც აღწერილნი არიან ავტორეგრესიის და მცოცავი საშუალოს შერეული მოდელით, გარკვეული სიზუსტით შეიძლება მივაკუთნოთ რომელიმე ქვემოთ მოყვანილ კლასს:

- ავტორეგრესიის მოდელი ერთი პარამეტრით:  $p = 1, q = 0$
- ავტორეგრესიის მოდელი ორი პარამეტრით:  $p = 2, q = 0$
- მცოცავი საშუალოს მოდელი ერთი პარამეტრით:  $p = 0, q = 1$
- მცოცავი საშუალოს მოდელი ორი პარამეტრით:  $p = 0, q = 2$
- ავტორეგრესიის მოდელი ერთი პარამეტრით და მცოცავი საშუალოს მოდელი ერთი პარამეტრით:  $p = q = 1$ .

მოდელის ამა თუ იმ კლასში მოხვედრის პრაქტიკული კრიტერიუმები ეფუძნება ავტოკორელაციურ და კერძო ავტოკორელაციური ფუნქციების გამოყენებას.


- **ავტორეგრესიის ერთი პარამეტრი:** ავტოკორელაციური ფუნქციის ჩაქრობა ხდება ექსპონენციალური კანონით, კერძო ავტოკორელაციურ ფუნქციას  $lag=1$ -ზე გააჩნია ამოვარდნა (სხვა ძვრებისათვის კორელაცია არ არსებობს);
- **ავტორეგრესიის ორი პარამეტრი:** ავტოკორელაციურ ფუნქციას გააჩნია სინუსოიდალური ან ექსპონენციალური მილევადი რხევის ფორმა; კერძო ავტოკორელაციურ ფუნქციას გააჩნია ამოვარდნები მხოლოდ  $lag = 1$  და  $lag = 2$  (სხვა ძვრებისათვის კორელაცია არ არსებობს);
- **მცოცავი საშუალოს ერთი პარამეტრი:** ავტოკორელაციურ ფუნქციას  $lag = 1$ -ზე გააჩნია ამოვარდნა (სხვა ძვრებისათვის კორელაცია არ არსებობს); კერძო ავტოკორელაციურ ფუნქციას გააჩნია ექსპონენციალურად მილევადი ფორმა – ან მონოტონურად, ან ოსცილაციის (ე.ი. ნიშანცვლადი) სახით;
- **მცოცავი საშუალოს ორი პარამეტრი:** ავტოკორელაციურ ფუნქციას გააჩნია 1 და 2 ძვრის დროს ამოვარდნები (სხვა ძვრებისათვის კორელაცია არ არსებობს); კერძო ავტოკორელაციურ ფუნქციას გააჩნია სინუსოიდალური ტალღის ფორმა ან ექსპონენციალურად მილევადია;
- **ავტორეგრესიის ერთი პარამეტრი და მცოცავი საშუალოს ერთი პარამეტრი:** ავტოკორელაციური ფუნქცია ექსპონენციალურად მილევადია, დაწყებული პირველი ძვრიდან (პირველი მნიშვნელობა ნული არ არის), მილევადობა შეიძლება იყოს მონოტონური და რხევითი; კერძო ავტოკორელაციურ ფუნქციაში დომინირებს ექსპონენციალური მილევადის წევრი – ან მონოტონური, ან ოსცილირებულ (პირველი მნიშვნელობა ნული არ არის).

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, იდენტიფიკაციის ეტაპზე მიზანშეწონილია განისაზღვროს რამოდენიმე შესაფერისი მოდელი და შემდეგ, როცა შეფასებული იქნება მათი პარამეტრები, ნაშთების გამოკვლევა, მოდელის აღეკვებურობა, უკვე შეიძლება საუკეთესო მოდელის შერჩევა.


ავტოკორელაციური და კერძო ავტოკორელაციური ფუნქციების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ **Series G ln(x)D(1)** მწკრივისათვის მისაღებია მოდელი – მცოცავი საშუალოს ერთი პარამეტრი  $p = 0, q = 1$ . თუ გავითვალისწინებთ, რომ  $d = 1$ , მაშინ გვექნება არასეზონური მოდელი (0,1,1).

რადგან მწკრივს გააჩნია ცხადად წარმოდგენილი სეზონური მდგენელი 12 თვის პერიოდით, საჭიროა მოდელში შეტანილი იყოს სეზონური კორექტირება. ამ შემთხვევაში მოდელი წარმოდგენილია **ARIMA (p,d,q) (Ps,Ds,Qs)** სახით, სადაც დამატებულია სეზონური პარამეტრები: **Ps**–ავტორეგრესიის სეზონური პარამეტრი, **Ds**–სეზონური სხვაობა, **Qs**–მცოცავი საშუალოს სეზონური პარამეტრი. ავტოკორელაციური და კერძო ავტოკორელაციური ფუნქციების ქცევა სეზონურ ძვრაზე ხდება იგივე სტანდარტული მეთოდებით ანუ ზემოთ განხილული პრაქტიკული კრიტერიუმები ძალაში რჩება.



იმისათვის, რომ მხედველობაში მივიღოთ სეზონური რხევები 12 თვის პერიოდით. საჭიროა ავიღოთ **Series G ln(x)D(-1)**. ამისათვის დავბრუნდეთ **Transformation of Variables** ფანჯარაში და მოვნიშოთ **Series G ln(x)D(-1).Differencing, Integrate** ჩანართში ჩაერთოთ **Differencing (x=x-x(lag))** ოპცია და მიუთითოთ  $lag = 12$ .



შემდეგ **click OK(Transform selected series)** ღილაკზე. ეკრანზე გამოდის გრაფიკი.




ეკრანზე გამოვიტანთ დროითი მწკრივის ავტოკორელაციური და კერძო კორელაციური ფუნქციების გრაფიკები.






ამ გრაფიკებიდან ჩანს, რომ მწკრივი სტაციონარულია, ავტოკორელაციური ფუნქცია ექსპონენციალურად მიღევადია, ხოლო კერძო ავტოკორელაციური ფუნქციაც ექსპონენციალურად მიღევადია და გააჩნია ამოვარდნა 1 ძვრახე. აქედან გამომდინარე, სეზონური პარამეტრი  $P_s = 0$ ,  $D_s = 1$ ,  $Q_s = 1$ . და ჩვენ გვაქვს საქმე **ARIMA** (0,1,1) მოდელთან. ამრიგად ავტორეგრესიის სრულ მოდელს აქვს **ARIMA** (0,1,1), (0,1,1) სახე.

ვბრუნდებით **Single Series ARIMA** ფანჯარაში. ამისათვის **Transformation of Variables** ფანჯარაში *click Cancel* ღილაკზე. კრანზე გამოდის საწყისი **Series G** ცვლადი. **Arima model parameters** ჩაჩოში დავაყენოთ შესაბამისი პარამეტრების მნიშვნელობები. **p-Autoregressive-** 0; **q-Moving aver-** 1, **P-seasonal-** 0, **Seasonal lag-** 12, **Q-seasonal-** 1.



**Estimation method** ჩაჩოში ჩავრთოთ **Approximate** ოპცია. შემდეგ **OK**.

– გაიხსნება **Single Series ARIMA Results** (ერთგანზომილებიანი **ARIMA** შედეგები)-ის ფანჯარა.



click **Summary: parameter estimates** (პარამეტრების შეფასება) ღილაკზე. ეკრანზე გამოდის პარამეტრების შეფასების ცხრილი.


Input: SERIES_G: Monthly passenger totals (in 1000's) (Series_G)						
Transformations: ln(x),D(1),D(12)						
Model:(0,1,1)(0,1,1) Seasonal lag: 12 MS Residual= ,00141						
Paramet.	Param.	Asympt. Std.Err.	Asympt. t( 129)	p	Lower 95% Conf	Upper 95% Conf
q(1)	0,377162	0,089318	4,222697	0,000045	0,200445	0,553880
Qs(1)	0,572379	0,071189	8,040233	0,000000	0,431529	0,713229

ცხრილიდან ჩანს, რომ ორივე პარამეტრის შეფასება მეკეთრად სარწმუნოა ( $p$  გაცილებით ნაკლებია 0.05-ზე). გაჩუმების პრინციპით პროგრამა ერთი სრული სეზონის ციკლისათვის გამოთვლის პროგნოზის მნიშვნელობებს, დაწყებული მწკრივის ბოლო მნიშვნელობიდან.


– click **Advanced** ანართის **forecast cases** (პროგნოზი)-ის ღილაკზე. ეკრანზე გამოდის შედეგების ცხრილი, სადაც წარმოდგენილია პროგნოზი და მათი ნდობის ინტერვალები, დაწყებული მწკრივის ბოლო მნიშვნელობიდან (ჩვენ შემთხვევაში 145-დან). ე.ი. ხდება 12 მნიშვნელობის პროგნოზი.

Forecasts; Model:(0,1,1)(0,1,1) Seasonal lag: 12 (Series_G) Input: SERIES_G: Monthly passenger totals (in 1000's) Start of origin: 1 End of origin: 144			
CaseNo.	Forecast	Lower 90,0000%	Upper 90,0000%
145	450,1171	422,9655	479,0117
146	425,6620	395,5777	458,0341
147	479,5240	441,3696	520,9766
148	492,0412	449,0088	539,1979
149	508,5479	460,4357	561,6874
150	583,0166	524,0264	648,6473
151	669,1520	597,3584	749,5742
152	666,4152	591,1003	751,3264
153	557,9980	491,9233	632,9478
154	496,7552	435,3899	566,7696
155	429,6965	374,5207	493,0009
156	477,1535	413,6613	550,3910

– click **Plot series & forecasts** (მწკრივის და პროგნოზი გრაფიკები) ღილაკზე. ეკრანზე გამოდის 12 თვის პროგნოზის გრაფიკი.




პროგნოზირების მოდელის შემოწმებისათვის. **Start at case** (დაიწყოს დაკვირვებიდან) ველში მიუუთითოთ, მაგ. 133 და კვლავ **click Plot series & forecasts** ღილაკზე.




ეკრანზე გამოსულ გრაფიკში ნათლად ჩანს, რომ პროგნოზის მრუდი პრაქტიკულად არ განსხვავდება საწყისი მწკრივის გრაფიკიდან და მწკრივის ყველა მნიშვნელობა ხვდება ნდობის ინტერვალში.

მოდელის ადეკვატურობის შესამოწმებლად ჩავატაროთ ნაშთების ანალიზი ამისათვის:


– **Distribution of residuals** ჩანართში *click Histogram* ღილაკზე. ეკრანზე გამოსულ გრაფიკზე ჩანს, რომ ნარჩენების ემპირიული განაწილების სიმკვრივის აპროქსიმაცია ნორმალური განაწილების კანონით წარმატებულია, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ პროგნოზის მოდელი ადეკვატურია.




ნარჩენების ნორმალური განაწილების დასადგენად გამოიყენება აგრეთვე **Normal probability plot** (ნორმალური ალბათური გრაფიკები). თუ დაკვირვები მკვეთრად განსხვავდება ნორმალური განაწილებისაგან, მაშინ მათი სტანტარტიზირებული მნიშვნელობა მკვეთრად გადახრილი იქნებიან სწორი ხაზიდან.




ნარჩენების გრაფიკის ასაგებად გავხსნათ **Review & residuals** ჩანართი, სადაც **Review & plot variables** (დავათვალიეროთ ცვლადები და ავაგოთ გრაფიკები) ოპციაში *click Plot (3)* (ნარჩენების გრაფიკი) ღილაკზე. პროგრამა აგებს ნარჩენების გრაფიკს, საიდანაც ჩანს, რომ ნარჩენებს გააჩნიათ დაახლოებით თანაბარი ვარიაცია და არ იკვეთება ტრენდი. ამრიგად, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ნარჩენები ნორმალურად არიან განაწილებულნი.



კარგად შერჩეულ მოდელში ნარჩენები ძალზე წააგავენ თეთრ ხმაურს. მასში არ იქნება პერიოდული რხევები, სისტემური წანაცვლება, მათ შორის არ იქნება ძლიერი კავშირები. *Autocorrelations* ჩანართში *click autocorrelations* და *Partial autocorrelatins* ღილაკები.





ეკრანზე გამოსულ გრაფიკებში ჩანს, რომ ნარჩენები პრაქტიკულად წარმოადგენენ თეთრ ხმაურს.


## 2. ინტერპენციის ARIMA მოდელი

ინტერპენციის მოდელი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა დროითი მწკრივის ქცევა ანუ ტრენდი გარე ფაქტორების ზემოქმედებით გარკვეული მომენტიდან მკვეთრად იცვლება. გარე ზეგავლენა შეიძლება იყოს მოკლევადიანი (იმპულსური) და გრძელვადიანი (მდგრადი). ზემოქმედების მომენტში მწკრივის ტრანსფორმაცია მკვეთრად იცვლება, მაგრამ შემდგომში კვლავ აღიწერება ARIMA მოდელით. დროითი მწკრივის მკვეთრი ცვლილების მომენტს ინტერპენცია ეწოდება.


განვიხილოთ *Examles* ბიბლიოთეკაში არსებული *Dataset* მონაცემთა ბაზაში არსებული *Director* ფაილი.

*Statistica* მენიუში მოვნიშნოთ *Advanced Linear/Nonlinear Models* და *click Time Series/Forecasting* ბრძანებაზე


ეკრანზე გამოდის *Time Series Analysis* (დროითი მწკრივების ანალიზი)-ის სასტარტო ფანჯარა. *click Variables* ღილაკზე და ეკრანზე გამოსულ ფანჯარაში მოვნიშნოთ *Calls* ცვლადი. შემდეგ *OK*.



ეკრანზე გამოდის *Time Series Analysis* ფანჯარა. *click Interrupted time series analysis* (ინტერვენციული დროითი მწკრივების ანალიზი)-ის ღილაკზე. ეკრანზე გამოდის *Interrupted Time Series ARIMA* სასტარტო ფანჯარა.



– *Review series* ჩანართში *click Plot* ღილაკზე. ეკრანზე გამოდის ინტერვენციული დროითი მწკრივის გრაფიკი.



– *Advanced* ჩანართში გაიხსნება სასტატო პროცედურის ფანჯარა.

სადაც *ARIMA* ფანჯრიდან განსხვავდება მარჯვენა *Specify times and type of interventions* (დავაყენოთ ინტერვენციის დრო და ტიპი) ჩარჩოთი. ამ ჩარჩოს ოპციები შემდეგია:


- **Intervention** – ინტერვენციის ნომერი (შეიძლება 6 ინტერვენცია);
- **At case number** – ინტერვენციის დაწყების შემთხვევის ნომერი;
- **Type of intervention** – ინტერვენციის ტიპი.

პროცედურა ითვალისწინებს ინტერვენციის სამ ტიპს. იმისათვის, რომ დავათვალიეროთ მათი გრაფიკები შევარჩიოთ *Review impact patterns* ჩანართი. სადაც *Type of intervention* გაშლად ველში წარმოდგენილია:

- **Abrupt, Permanent** (ნახტომისებური, მდგრადი);
- **Gradual Permanent** (თანდათანობით, მდგრადი);
- **Abrupt, Temporary** (ნახტომისებური, დროებითი).



შეგარჩიოთ თითოეული მათგანი და *click Review type of impact pattern* ღილაკზე.



სამი ტიპიდან უნდა შეირჩეს ჩვენთვის ყველაზე უფრო მიახლოებითი ინტერვენცია. ამის შემდეგ შეგვიძლია გადავიდეთ **ARIMA** მოდელის პარამეტრების შერჩევაზე ისე, როგორც აღწერილი იყო **ARIMA** ზოგადი მოდელის დროს.

## პრაქტიკული სამუშაო 14

### პროგნოზირება ექსპონენციალური გაბლუვებით


ექსპონენციალური გაგლუვების მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს იმაში, რომ დროითი მწკრივის გაგლუვება ხდება აწონილი მცოცავი საშუალოთი, რომლის კოეფიციენტებს გააჩნიათ სხვადასხვა წონა და ის დამოკიდებულია ექსპონენციალურ კანონზე. აქედან გამომდინარე, დროითი მწკრივის ის მნიშვნელობები, რომლებიც ახლოს არიან  $t$  პროგნოზირებად დროსთან გააჩნიათ დიდი წონითი კოეფიციენტები, ხოლო რაც უფრო დაშორებულნი არიან  $t$  პროგნოზირების დროსთან – მით უფრო ნაკლები წონები.

მარტივი ექსპონენციალური გაგლუვების ფორმულას აქვს შემდეგი სახე


$$S_t = \alpha X_t + (1 - \alpha) S_{t-1} ,$$

სადაც  $X_t$  -საწყისი დროითი მწკრივია,  $S_t$  – გაგლუვებული დროითი მწკრივი. გასაგებია, რომ გაგლუვების შედეგი დამოკიდებულია  $\alpha$  პარამეტრზე. თუ  $\alpha = 1$  მაშინ წინა დაკვირვებები იგნორირებულნი არიან. თუ  $\alpha = 0$ , მაშინ იგნორირებულნი არიან მიმდინარე დაკვირვებები. აქედან გამომდინარე,  $\alpha$  სიდიდე იცვლება  $0 < \alpha < 1$ . მომხმარებელს შეუძლია დააფიქსიროს გაგლუვების საწყისი პარამეტრები, ტრენდის საწყისი მნიშვნელობა და თუ საჭიროა სეზონური ფაქტორები. მოდულის აღწერისათვის გამოვიყენოთ **Series G** დროითი მწკრივი.


**Statistica** მენიუში მოვნიშნოთ **Advanced Linear/Nonlinear Models** და **click Time Series/Forecasting** ბრძანებაზე



– ეკრანზე გახსნილ *Time Series Analysis* ფანჯარაში *click Exponential smoothing & forecasting* (ექსპონენციალური გაგლუვება და პროგნოზირება)-ის ღილაკზე. ეკრანზე გამოდის *Seasonal and Non-Seasonal Exponential smoothing* (სეზონური და არასეზონური ექსპონენციალური გაგლუვება)-ის ფანჯარა.



ჩაერთოდ *Advanced* ჩანართი:



ექსპონენციალური გაგლუვების მოდელის განსაზღვრისათვის საჭიროა სეზონური კომპონენტის ტრენდის და გაგლუვების პარამეტრების დაფიქსირება. ეს შესაძლებელია შემდეგი ოპციებით:

- **Seasonal component** (სეზონური კომპონენტი);
- **None** (არა);
- **Additive** (ადიტიური);
- **Multiplicative** (მულტიპლიკატიური);
- **No trend** (ტრენდი არ არის);
- **Linear trend** (წრფივი ტრენდი);
- **Exponential** (ექსპონენციალური);
- **Damped trend** (დემფირებული (ჩაქრობადი) ტრენდი).

**User-def. Initial value** ოპცია გამოიყენება  $S(0)$  საწყისი მნიშვნელობის მოცემისათვის.

**Initial trend** (საწყისი ტრენდი) ოპცია გამოიყენება ტრენდის საწყისი მნიშვნელობის დასაფიქსირებლად. თუ ეს ოპცია არ გამოიყენება, მაშინ ტრენდის საწყისი მნიშვნელობა პროგრამაში შეფასდება.


**Alpha, Delta, Gamma, Phi** ველებით მოცემულია გაგლუვების პარამეტრებით. მაგალითად, **Alpha** საჭიროა ყველა ექსპონენციალური გაგლუვებისათვის. სხვა მაჩვენებლები საჭიროა სპეციალური მოდელებისათვის. **Gamma** პარამეტრი გამოიყენება წრფივი და არაწრფივი ტრენდებისათვის და აგრეთვე ისეთი მოდელებისათვის, რომელთაც გააჩნიათ ჩაქრობადი ტრენდი და არ გააჩნიათ სეზონური კომპონენტები.

შემდეგი ორი ოპცია გამოიყენება შედეგების გრაფიკულად წარმოდგენისათვის.

- **Make summary plot for each smooth** (ყოველი გაგლუვებისათვის ავტომატურად შედგებოდა გრაფიკები);
- **Add pread/errors to work area** (გაგლუვებული მწკრივის დამატება/ნარჩენები სამუშაო არეში).

**Forecast cases** (შემთხვევების პროგნოზი) არეში მიეთითება რამდენი მნიშვნელობისათვის გვინდა პროგნოზის გაკეთება.

**Additive** ოპციების საშუალებით ხდება მოცემული მწკრივისათვის შესაფერისი ტრენდის შერჩევა. **Seasonal component** არეში მიუთითოთ **lag = 12**. ჩაერთოთ **Grid search** ჩანართი. ეკრანზე გამოჩნდება პარამეტრების მნიშვნელობები, სადაც ნაჩვენებია საწყისი, ზღვრული პარამეტრები და ბიჯი.





– **click Perform grid search** ღილაკზე. ამ ბრძანებით პროგრამა მოახდენს პარამეტრების შესაძლო მნიშვნელობების გადარჩევას და ეკრანზე გამოსულ ცხრილის პირველ სრიქონში მიუთითებს პარამეტრების საუკეთესო მნიშვნელობებს.

Parameter grid search (Smallest abs. errors are highlighted) (Series_G) Model: Expon. trend, add.season (12); S0=120,6 T0=1,008 SERIES_G: Monthly passenger totals (in 1000's)									
Model Number	Alpha	Delta	Gamma	Mean Error	Mean Abs Error	Sums of Squares	Mean Squares	Mean % Error	Mean Abs % Error
154	0,200000	0,900000	0,100000	-0,539034	12,02541	34948,92	242,7009	-0,276526	5,237676
145	0,200000	0,800000	0,100000	-0,525827	12,25777	36472,68	253,2825	-0,284180	5,305715
73	0,100000	0,900000	0,100000	-0,625175	12,12782	36852,55	255,9205	-0,237975	5,119473
64	0,100000	0,800000	0,100000	-0,595069	12,17511	37643,18	261,4110	-0,240639	5,098652
155	0,200000	0,900000	0,200000	-0,621882	12,59774	38492,36	267,3080	-0,342267	5,559599
136	0,200000	0,700000	0,100000	-0,513936	12,60913	39135,24	271,7725	-0,293995	5,419627
55	0,100000	0,700000	0,100000	-0,563808	12,51606	39416,10	273,7229	-0,245444	5,236786
235	0,300000	0,900000	0,100000	-0,589378	13,22174	39448,90	273,9507	-0,354056	5,844570
74	0,100000	0,900000	0,200000	-0,588828	12,70447	39531,69	274,5256	-0,276314	5,399838
146	0,200000	0,800000	0,200000	-0,610063	12,80810	39545,50	274,6215	-0,351569	5,613842


– click **Summary: Exponential smoothing** ღილაკზე. ეკრანზე გამოდის ცხრილი, სადაც წარმოდგენილია საწყისი, პროგნოზის მნიშვნელობები, ნაშთები და პროგნოზირების ახალი 12 მნიშვნელობა.

Exp. smoothing: Additive season (12) S0=120,6 T0=1,008 (Series_G) Expon.trend,add.season; Alpha= ,100 Delta=,100 Gamma=,100 SERIES_G: Monthly passenger totals (in 1000's)				
Case	SERIES_G	Smoothed Series	Resids	Seasonal Factors
133	417,0000	419,8070	-2,8070	
134	391,0000	412,3180	-21,3180	
135	419,0000	449,8559	-30,8559	
136	461,0000	440,9787	20,0213	
137	472,0000	449,8851	22,1149	
138	535,0000	495,6702	39,3298	
139	622,0000	539,8672	82,1328	
140	606,0000	548,4381	57,5619	
141	508,0000	506,2786	1,7214	
142	461,0000	471,8748	-10,8748	
143	390,0000	441,3714	-51,3714	
144	432,0000	468,1717	-36,1717	
145		475,2827		
146		467,6489		
147		507,9464		
148		508,5692		
149		517,3071		
150		563,8587		
151		608,9954		
152		607,2675		
153		553,8059		
154		517,5418		

მოდელის ადეკვატურობა დამატებით შეიძლება ვნახოთ **Review series** ჩანართის საშუალებით.



*click Plot two var lists with different scaies* გერანზე გამოდის საწყისი მწკრივი, პროგნოზის მწკრივი და ნაშთების მწკრივი.



როგორც ნახაზიდან ჩანს, ნაშთების მწკრივი სტაციონარულია.

## პრაქტიკული სამუშაო 15

## სეზონური დეკომპოზიცია (სეზონი 1)

*Time Series/Forecasting* მოდულში რეალიზირებულია სეზონური დეკომპოზიციის ორი სახე: კლასიკური დეკომპოზიცია (სეზონი 1) და ე.წ. *XII/Y2K(Census 1) - Montly* (12 თვიანი სეზონური კორექტირება). განვიხილოთ კლასიკური დეკომპოზიცია.

როგორც ცნობილია, დროითი მწკრივი შეიძლება წარმოვადგინოთ ოთხი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტის (ფაქტორების) საშუალებით: ტრენდი  $T_t$ , სეზონური  $S_t$ , ციკლური  $C_t$  და შემთხვევითი  $R_t$  არარეგულარული კომპონენტებით. ციკლურ და სეზონურ კომპონენტებს შორის სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ სეზონურ კომპონენტს გააჩნია რეგულარული (სეზონური) პერიოდი, მაშინ როცა ციკლური ფაქტორს ჩვეულებრივ გააჩნია უფრო ხანგრძლივი ეფექტი და იცვლება ციკლიდან ციკლამდე. სეზონური დეკომპოზიციის მეთოდში ტრენდი და ციკლური კომპონენტა ჩვეულებრივ ერთიანდებიან ერთ ტრენდ-ციკლურ ( $T_t C_t$ ) კომპონენტაში.

არსებობს ადიტიური და მულტიპლიკატიური მოდელები. ადიტიური მოდელის შემთხვევაში დროითი მწკრივის მნიშვნელობა  $t$ -ურ მომენტში განსაზღვრულია ოთხივე კომპონენტის ჯამით:

$$y_t = T_t + C_t + S_t + R_t,$$

ხოლო მულტიპლიკატიური მოდელში – ოთხივე კომპონენტის გადამრავლებით:


$$y_t = T_t \cdot C_t \cdot S_t \cdot R_t.$$

დროითი მწკრივის გრაფიკული გამოსახულებიდან გამომდინარე ამ ორ მოდელს შორის განსხვავება შემდეგია: ადიტიური მოდელის შემთხვევაში დროით მწკრივს გააჩნია მუდმივი სეზონური რხევები, რომელთა სიდიდე არ არის დამოკიდებული დროითი მწკრივის საერთო დონის მნიშვნელობაზე. მულტიპლიკატიური მოდელის შემთხვევაში სეზონური რხევის სიდიდე იცვლება დროითი მწკრივის საერთო დონის სიდიდესთან ერთად.

უნდა აღინიშნოს, რომ *ARIMA* მოდელს სჭირდება მინიმუმ 8 სრული სეზონური ციკლის მნიშვნელობები (ჩვენ შემთხვევაში  $8 \times 12 = 96$ ), ხოლო სეზონური დეკომპოზიციის მეთოდისთვის საკმარისია 5 სრული სეზონური ციკლი.

*Time Series/Forecasting* სასტარტო ფანჯარაში *click Seasonal decomposition (census1)* ღილაკზე. გაიხსნება *Ratius-To-Moving Averages classical Seasonal Decomposition (Census Method 1)* ფანჯარა:





სადაც *Seasonal model* ჩარჩოში უნდა შევარჩიოთ მოდელი:

- *Additive* (ადიტიური)
- *Multiplicative* (მულტიპლიკაციური)

*Seasonal lag* ოპციის ველში უნდა მიუთითოთ სეზონური პერიოდის სიგრძე.

*Advanced* ჩანართის *Centered moving averages (for even Seasonal lag only)* (ლუწი სიგრძის სეზონისათვის ცენტრირებული მცოცავი საშუალო) ოპცია საშუალებას იძლევა ლუწი *lag*-ისათვის შეარჩიოს ან ერთნაირწონიანი სრიალა საშუალო ან ისე, რომ პირველი და ბოლო დაკვირვებებს გააჩნდეს არათანაბარი წონითი კოეფიციენტები. ეს მეორე მეთოდი შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ეს ოპცია ჩართულია.

*On Ok append components to active work area* ოპციების ჯგუფში განლაგებული შემდეგი ოპციები:

- *Moving averages* (მცოცავი საშუალო); რომლის საშუალებითაც ჯერ დროითი მწკრივისათვის განისაზღვრება მცოცავი საშუალო, ამ დროს ფანჯრის სიგრძე აიღება სეზონური პერიოდის სიგრძის ტოლი. თუ სეზონის პერიოდი ლუწი რიცხვია, მაშინ უნდა გამოვიყენოთ ან ერთწონიანი მცოცავი საშუალო ან არათანაბარწონიანი.
- *Ratios/Differences* (ფარდობა/სხვაობა). მცოცავი საშუალოს შერჩევის შემდეგ სეზონური ცვალებადობა გამოირიცხება და ამიტომ დაკვირვებებსა და გაგლუვებულ მნიშვნელობას შორის სხვაობა (ადიტიური მოდელის დროს) ან ფარდობა (მულტიპლიკაციური მოდელის დროს) გამოიწვევს სეზონური კომპონენტის გამოყოფას (პლიუს არარეგულარული კომპონენტა).

- **Seasonal factors** (სეზონური ფაქტორები). განისაზღვრება სეზონური კომპონენტა, როგორც საშუალო (ადიტიური მოდელისათვის) ან მედიანა (მულტიპლიკატიური მოდელისათვის) სეზონური მწკრივის ყველა მნიშვნელობებისათვის;
- **Seasonal agj. Series** (მწკრივი, სეზონური მდგენელით კორექტირებული). საწყისი მწკრივი შეიძლება კორექტირებული იყოს თუ მის მნიშვნელობებს გამოვაკლებთ (ადიტიური მოდელი) სეზონური მდგენელის მნიშვნელობებს ან გაგყოფთ (მულტიპლიკატიური მოდელი).
- **Smoothed trend cycle** (გაგლუვებული ტრენდი ციკლური კომპონენტა). ბოლო ბიჯზე გამოიყოფა შემთხვევითი ან არარეგულარული (ცდომილება) კომპონენტა მწკრივიდან ტრენდ-ციკლური კომპონენტის გამოკლებით (ადიტიური მოდელი) ან გაყოფით (მულტიპლიკატიური მოდელი).

დავაყენოთ სეზონური ძვრა lag = 12. ჩავრთოთ **On Okappend components to active work area**-ს ყველა ოპცია. ჩავრთოთ **Additive** ოპცია. **Number of backups ...** ველში დავაყენოთ 6.

– **click Summary: Seasonal decomposition** (შედგებები, სეზონური დეკომპოზიცია)-ის ღილაკზე. ეკრანზე გამოდის შედეგების ცხრილი, სადაც წარმოდგენილია მწკრივის მდგენელების მნიშვნელობები.


Seasonal Decomposition: Additive season (12); Centered means (Series_G)							
SERIES_G: Monthly passenger totals (in 1000's)							
Case	SERIES_G	Moving Averages	Diffnrcs	Seasonal Factors	Adjusted Series	Smoothed Trend-c.	Irreg. Compon.
2	118,0000			-36,1881	154,1881	141,7260	12,4621
3	132,0000			-2,2412	134,2412	138,6031	-4,3620
4	129,0000			-8,0366	137,0366	131,5989	5,4377
5	121,0000			-4,5063	125,5063	118,6886	6,8178
6	135,0000			35,4028	99,5972	104,4840	-4,8868
7	148,0000	126,7917	21,2083	63,8308	84,1692	96,3380	-12,1688
8	148,0000	127,2500	20,7500	62,8232	85,1768	100,2298	-15,0530
9	136,0000	127,9583	8,0417	16,5202	119,4798	116,6490	2,8308
10	119,0000	128,5833	-9,5833	-20,6427	139,6427	133,8746	5,7681
11	104,0000	129,0000	-25,0000	-53,5934	157,5934	144,9482	12,6452
12	118,0000	129,7500	-11,7500	-28,6199	146,6199	148,4861	-1,8662
13	115,0000	131,2500	-16,2500	-24,7487	139,7487	148,6330	-8,8843
14	126,0000	133,0833	-7,0833	-36,1881	162,1881	149,1334	13,0547
15	141,0000	134,9167	6,0833	-2,2412	143,2412	145,4920	-2,2508
16	135,0000	136,4167	-1,4167	-8,0366	143,0366	138,9322	4,1044
17	125,0000	137,4167	-12,4167	-4,5063	129,5063	127,9108	1,5955
18	149,0000	138,7500	10,2500	35,4028	113,5972	118,0396	-4,4423
19	170,0000	140,9167	29,0833	63,8308	106,1692	114,5602	-8,3910
20	170,0000	143,1667	26,8333	62,8232	107,1768	120,4520	-13,2753

ცხრილიდან ადვილად შეიძლება შევამოწმოთ, რომ ტრენდ-ციკლური, სეზონური და არარეგულარული კომპონენტების აჯამებით ვღებულობთ საწყის დროით მწკრივს, კორექტირებული მწკრივის და სეზონური მდგენელების ჯამი იძლევა, აგრეთვე, საწყის დროით მწკრივს.


დეკომპოზიციის შედეგების გრაფიკული წარმოდგენისათვის ჩავრთოთ **Review series** ჩანართი. წინასწარ უნდა ჩავრთოთ **Display/plot subset of cases only**

და *Scale X axis in plots manually* ოპციები სათანადო მაჩვენებლების დაყენებით. მოვინიშნოთ *Scale X axis in plots manual* ოპცია. *click Review multiple variables* ღილაკის გვერდით არსებულ *Plot* ღილაკზე.

ეკრანზე გამოდის *Select variables for the Spreadsheet/plot* ფანჯარა



სადაც ჩამოთვლილია შედეგების მწკრივები. მოვინიშნოთ მწკრივები, მაგალითად *Monthly passenger totals*, *Seasonal factors*, *Smoothed tr-cycle* და შემდეგ *OK*. პროგრამა ააგებს შესაბამის გრაფიკებს.



## პრაქტიკული სამუშაო 16

### ფურიეს სპექტრული ანალიზი

სპექტრული ანალიზის საშუალებით დროით მწკრივებში შესაძლებელია პერიოდული რხევების გამოვლენა. **ARIMA** მოდელისაგან განსხვავებით სპექტრული ანალიზის მიზანია სეზონურობის ეფექტის გამოვლენა, მაშინ როდესაც **ARIMA** მოდელში სეზონურობის კომპონენტები წინასწარ ცნობილი უნდა იყოს.


ფურიეს სპექტრული ანალიზის პროგრამა საშუალებას იძლევა ჩავატაროთ სტაციონარული დროითი მწკრივებისათვის სპექტრული ანალიზი, კერძოდ ავაგოთ პერიოდოგრამა, სპექტრული სიმკვრივის ფუნქციის შეფასება სხვადასხვა დროითი ფანჯრებისათვის. სპექტრული ანალიზის საშუალებით შესაძლებელია დროით მწკრივში ფარული პერიოდულობის გამოყოფა.

სპექტრული ანალიზისათვის წინასწარი სტანდარტული პროცედურებია: დროითი მწკრივების კოსინუსოიდალური ფანჯრით გაგლუვება, საშუალო მნიშვნელობის განსაზღვრა და ტრენდის გამორიცხვა.

ჩავტვირთოთ **Exmpl**-ის **Datasets** ბიბლიოთეკიდან **Series.G** ფაილი.

**Statistica** მენიუში მოვნიშნოთ **Advanced Linear/Nonlinear Models** და **click Time Series/Forecasting** ბრძანებაზე.

– ეკრანზე გამოსულ **Time Series Analysis** ფანჯარაში **click Spectral (Fourier) analysis** ღილაკზე.



ეკრანზე გამოდის *Fourier (Spectral) Analysis* ფანჯარა, სადაც ინფორმაციულ პანელში ჩაწერილია დროითი მწკრივის დასახელება. სიმბოლო  $L$  მიგვანიშნებს, რომ ცველადი გასაღებით არის დაკეტილია.

ფუნქციონალური ღილაკებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი:

- **Single series Fourier analysis** (ერთი მწკრივის ფურიეს ანალიზი);
- **Two series Fourier analysis** (ორი მწკრივის ფურიეს ანალიზი);


ჩავრთოთ **Advanced** ჩანართი. **Transformation of input series** (საწყისი მწკრივის გარდაქმნა) ჩარჩოში განთავსებული ოპციებით ხდება დროითი მწკრივის გარდაქმნა.

- **Toper** (ბოლოებში გაგლუვება). ეს პროცედურა რეკომენდირებულია პერიოდოგრამაში ცრუ პიკების გამოსარიცხად.
- **Subtract mean** (საშუალოს გამოთვლა). განისაზღვრება მწკრივის საშუალო სიდიდე;
- **Detrend** (ტრენდის გამორიცხვა). დროითი მწკრივიდან ხდება ტრენდის გამორიცხვა.

**Padding of input series** (საწყისი მწკრივის ბოლოში ნულების დამატება). ოპციების ჯგუფში შედიან:

- **Do not pad series: use exact leng** (ნულები არ დავამატოთ; გამოვიყენოთ მწკრივის ზუსტი სიგრძე). მწკრივში ნულების დამატება არ ხდება და ფორმალურად ფურიეს სწრაფი გარდაქმნის გამოყენება არ შეიძლება;
- **Pad the end of series with N zeros:** (მწკრივის ბოლოს დავუმატოთ  $N$  რაოდენობის ნული). ნულების რაოდენობა მიეთითება  $N=$  ველში;
- **Truncate Pength to a power of 2** (მწკრივს ჩამოვაჭრათ მნიშვნელობები მანამ, სანამ მწკრივი არ გახდება 2-ის ხარისხის ტოლი);
- **Pad length to power of 2** (გავზარდოთ მწკრივის სიგრძე უახლოესი 2 ხარისხის ტოლად). მწკრივს ბოლოში დავამატება იმდენი ნული, სანამ მისი სიგრძე არ გახდება 2-ის ხარისხის ტოლი.

ოპციების დაყენების შემდეგ **click OK (single series Fourier analysis)** ღილაკზე. პროგრამა ჩაატარებს სპექტრულ ანალიზს და ეკრანზე გამოდის **Single series Fourier (Spectral) Analysis Results** შედეგების ფანჯარა.



**Summary** ღილაკის საშუალებით შესაძლებელია სპექტრული ანალიზის შედეგის კომპაქტურად წარმოდგენა. ამ შემთხვევაში ეკრანზე გამოდის შედეგების ცხრილი, სადაც წარმოდგენილია სიხშირეები, პერიოდები, სინუსის და კოსინუსის კოეფიციენტები, პერიოდოგრამის მნიშვნელობები, სპექტრული სიმკვრივის შეფასებები და წონითი მნიშვნელობები, რომლებიც გამოიყენებიან სპექტრული სიმკვრივის შეფასებების მისაღებად.

Spectral analysis: SERIES_G: Monthly passenger totals (in 100 (Series_G))							
No. of cases: 256							
	Frequency	Period	Cosine Coeffs	Sine Coeffs	Periodogram	Density	Hamming Weights
0	0,000000		-0,0000	-0,0000	0,00	1875,08	0,035714
1	0,003906	256,0000	0,6037	-4,4609	2593,77	3403,80	0,241071
2	0,007813	128,0000	8,0473	1,8833	8743,13	4874,89	0,446429
3	0,011719	85,3333	0,4100	3,1286	1274,37	3120,04	0,241071
4	0,015625	64,0000	-0,3855	2,9032	1097,87	1896,10	0,035714
5	0,019531	51,2000	1,4951	-4,0743	2410,96	2776,81	
6	0,023438	42,6667	3,7712	5,5396	5748,45	3276,58	
7	0,027344	36,5714	-0,5641	-0,8195	126,69	1954,46	
8	0,031250	32,0000	0,5310	3,5637	1661,70	1198,75	
9	0,035156	28,4444	0,8173	-2,2121	711,88	1078,20	
10	0,039063	25,6000	1,8077	2,7482	1384,99	1006,55	
11	0,042969	23,2727	1,4378	1,6172	599,35	746,06	
12	0,046875	21,3333	-1,1414	1,2242	358,58	595,99	
13	0,050781	19,6923	1,3785	2,2941	916,88	737,32	
14	0,054688	18,2857	-1,5068	-1,5193	586,07	1032,97	
15	0,058594	17,0667	2,5324	3,2922	2208,18	1263,03	

განვიხილოთ ეს მნიშვნელობები. დროითი მწკრივის მნიშვნელობები განისაზღვრებიან ფორმულით:

$$x_i = \frac{a_0}{2} + \sum_k \{a_k \cos[2\pi f_k(t-1)] + b_k \sin[2\pi f_k(t-1)]\},$$

სადაც  $f_k$  სიხშირე განისაზღვრება როგორც დროით ერთეულში ციკლების რაოდენობა. **Time Series/Forecasting** მოდულში დროის ერთეულად აღებულია ერთი დაკვირვება (ანუ სიხშირე გამოისახება როგორც ციკლის ნაწილი ერთ დაკვირვებაზე). სიხშირეები განისაზღვრებიან როგორც,  $\frac{k}{n}$ ,  $k=1,2,\dots,\frac{n}{2}$ ,

სადაც  $n$ -მწკრივის განზომიერება. მაგალითად, რიცხვი 0.083 ნიშნავს იმას, რომ თითოეული დაკვირვება შედგება მთელი ციკლის 0.083-საგან ან 12 დაკვირვება შეადგენს ერთ ციკლს ( $0.083 \cdot 12=1$ ). ამრიგად, თუ მწკრივი შედგება რამოდენიმე წლის თვიური მონაცემებისაგან, მაშინ შესაბამისი პერიოდულობა განსაზღვრავს წლიურ ციკლს.

თუ სიგნალის დაქვანტის სიხშირე  $\Delta t \neq 1$ , მაშინ სიხშირეები განისაზღვრებიან როგორც  $\frac{k}{\Delta t n}$ ,  $k=1,2,\dots,\frac{n}{2}$ .

კოსინუსის კოეფიციენტები  $a_k$  წარმოადგენენ რეგრესიის კოეფიციენტებს, რომლებიც გვიჩვენებენ კოსინუს ფუნქციის კორელაციას შესაბამისი სიხშირულ მონაცემებთან. სინუსის  $b_k$  კოეფიციენტების ინტერპრეტაცია ანალოგიურია კოსინუს-კოეფიციენტებისა.

პერიოდოგრამის მნიშვნელობები განისაზღვრებიან როგორც ყოველი სიხშირის სინუსებისა და კოსინუსების კოეფიციენტების კვადრატების ჯამი.

სპექტრული სიმკვრივის ფუნქციის შეფასება განისაზღვრება პერიოდოგრამის გაგლუვებით. ამისათვის **Data windows for spectral density estimation** (სპექტრული სიმკვრივის შეფასების ფანჯარები)-ის ოპციებიდან განსაზღვრავენ ერთ-ერთი სპექტრულ ფანჯარას: დანიელის, ტიუკის, ჰემინგის, პარზენის, ბარტლეტის. შესაძლებელია საკუთარის ფანჯრის გამოყენება **User-defind** (განსაზღვრულია მომხმარებლის მიერ) ოპციის საშუალებით.

**Width of data window** (ფანჯრის სიგანე) ოპციით შესაძლებელია ფანჯრის სიგანის დაყენება.


**Append to work area on Exit** (დაუმატოთ აქტიურ მუშა არეს) ჩარჩოში წარმოდგენილი ოპციები;

- **Frequency** (სიხშირე);
- **Period** (პერიოდი);
- **Cosine coeffs** (კოსინუსის კოეფიციენტები);
- **Sine coefficients** (სინუსის კოეფიციენტები);
- **Periodogram vals** (პერიოდოგრამის მნიშვნელობები);
- **Spectral densities** (სპექტრული სიმკვრივე);


დოგორც წესი ყველა ეს ოპცია ჩართული უნდა იყოს.

**Review & plot** ჩანართის ჩართვით შესაძლებელია სხვადასხვა გრაფიკული შედეგების ეკრანზე გამოტანა: სპექტრული სიმკვრივის, პერიოდოგრამის, მათი ლოგარითმების, კოსინუს-სინუსური კოეფიციენტები. გრაფიკები შეიძლება აიგოს სიხშირით, პერიოდით ან ლოგ-პერიოდით, იმისდა

მიუხედავად თუ რომელი ოპცია იქნება ჩართული **Plot by** ოპციებიდან: **Frequency** (სიხშირე), **Period** (პერიოდი), **Log (Period)** (ლოგარითმული პერიოდი).




თუ ჩავრთავთ **Period** ოპციას და **click Periodogram** ღილაკზე, პროგრამა ააგებს პერიოდოგრამის გრაფიკს, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ რეგულარული ციკლის არსებობაზე ან არარსებობაზე, განვსაზღვროთ სეზონურობის ციკლი (ლაგი).




თუ ჩავრთავთ **Period** ოპციას და **click Spectral density** ღილაკზე, მაშინ პროგრამა დროით სივრცეში ააგებს სპექტრული სიმკვრივის გრაფიკს.






თუ ამ პერიოდოგრამებს ერთმანეთს შევადარებთ, ადვილი მისახვედრია, რომ სპექტრული სიმკვრივე წარმოადგენს პერიოდოგრამის გაგლუვების შედეგს.


თუ ჩაერთავთ **Frequency** ოპციას და **click Spectral density** ღილაკზე, მაშინ პროგრამა ააგებს სისშირულ არეში სპექტრული სიმკვრივის გრაფიკს.



თუ ჩაერთავთ **Log [Period]** ოპციას და **click Periodogram** ღილაკზე, მაშინ პროგრამა ააგებს პერიოდოგრამის ლოგარითმულ გრაფიკს.




ხოლო თუ ჩავრთავთ  $\text{Log} [\text{Period}]$  ოპციას და *click Spectral density* ღილაკზე, მაშინ პროგრამა ააგებს სპექტრული სიმკვრივის ლოგარითმულ გრაფიკს.



თუ დროითი მწკრივის მნიშვნელობები ერთმანეთის მიმართ დამოუკიდებელნი არიან (ე.ი. პერიოდულობა არ გააჩნიათ) და ექვემდებარებიან ნორმალურ განაწილებას, მაშინ ასეთი დროითი მწკრივი შეიძლება იყოს თეთრი ხმაური. თუ საწყისი მწკრივი – თეთრი ხმაურია, მაშინ შესაბამისი პერიოდოგრამის მნიშვნელობებს გააჩნიათ ექსპონენციალური განაწილება.

**Histogram of periodogram** ღილაკით აიგება პერიოდოგრამის მნიშვნელობების ჰისტოგრამა და ექსპონენციალური განაწილების მრუდი. გარდა ამისა, მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს კოლმოროვ-სმირნოვის  $d$ -სტატისტიკის განსაზღვრა.



### გამოყენებული ლიტერატურა

1. Халафян А.А. STATISTICA 6. Статистический анализ данных. Учебник М., Бином-Пресс, 2007.
2. Боровиков В.П.,Ивченко Г.И. Прогнозирование в системе STATISTICA в среде Windows. Учеб.пособие М.,Финансы и статистика, 2000.
3. Боровиков В.П. STATISTICA. Искусство анализа данных на компьютере. СПб,Питер,2003.
4. Валиев С.Г.,Клячкин В.Р. Практикум по прикладной статистике. Учеб.пособие,Ульяновск, 2008.
5. Вуколов Э.А. Основы статистического анализа. Практикум,Учеб.пособие, М.,ФОРУМ, 2008